F-171
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

ნოემბერი
დეკემბერი

## №11-12

НОЯБРЬ
ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

L-5497

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1986 წლის 25 სექტემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 30 ივნისის თათბირის მითითებათა მოთხოვნის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ამოცანების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 30 ივნისის თათბირის მითითებათა მოთხოვნის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად“ სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 17 ივნისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება № 13(1)57, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ განათლების შინაარსი, რისთვისაც ფართოდ უნდა დაეყრდნონ სამეცნიერო-პედაგოგიურ, ცალკეული პედაგოგების გამოცდილებასა და აზრს.

ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას, პედაგოგიური კოლექტივებისა და პედსაბჭოების უფლებამოვალეობათა გაფართოებას. ყველა პირობა უნდა შეუქმნან მშობელთა საზოგადოებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის კოლექტი-

ვების შექმნას, განამტკიცონ კავშირი საბაზო დაწესებულებების პროფ-ორგანიზაციებთან.

აღნიშნული ერთობლივი დადგენილების სარეალიზაციოდ კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, პროფკავშირის ადგილობრივმა კომიტეტებმა:

1. 1. ზოგადსაგანმანათლებლო ყველა ტიპის პედაგოგიურ კოლექტივებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში უზრუნველყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლების ხუთწლიანი გეგმისა და მისი რეალიზაციისათვის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“, აგრეთვე პლენუმის დადგენილების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალების შესწავლა.

1. 2. სახალხო განათლების სისტემის ყველა შრომით კოლექტივში ფართოდ გაშალონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი „მეთორმეტე ხუთწლედს — საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა!“

1. 3. ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი მშრომელთა კოლექტივების მოძრაობას, რომ 1986 წილს 4 სამუშაო დღე, ხელფასის ანაზღაურების გარეშე (დაგროვილი 4 დღის ხელფასის გადარიცხვა), მოხმარდეს საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სპორტული მოედნების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობებზე მუშაობას.

1. 4. ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ შესაბამისად.

1. 5. ერთი თვის ვადაში შეადგინონ და კოლეგიებისა და საბჭოების სხდომებზე დაამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრების შემაჯამებელ კომისიათა შემადგენლობები.

1. ნ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის მასალების მოთხოვნათა შესაბამისად კორექტირება გაუკეთონ წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 30 ივნისის თათბირის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ მინისტრის მოადგილეებმა: ამხ. ამხ. ლ. გაგუამ, ნ. ჩიქვილაძემ, გ. თალაკვაძემ და გ. გორგოშიძემ, შესაბამისი სამმართველოების მეშვეობით, ერთი კვირის ვადაში შეიმუშაონ და რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით წარმოადგინონ ერთობლივი სამუშაო გეგმა.

3. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილებამ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) შესაბამისობაში მოიყვანონ წარმოდგენილი გეგმები და წარუდგინონ კოლეგიას დასამტკიცებლად.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბილკური კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კ. კოშაძიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 30 ივნისის თათბირის მითითებათა მოთხოვნის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა გეგმა

1. მეთორმეტე ხუთწლედისათვის შემუშავებული სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაზე (1986—1990 წ. წ.) კონტროლის დაწესება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სასწავლო ლაბორატორიების, პედაგოგიური დაწესებულებების მშენებლობებზე კონტროლის დაწესება, მათი მოქმედებაში შეყვანის უზრუნველყოფა.

კაპიტალურ და მიმდინარე რემონტებზე თანხების გამოყოფა, ასიგნებათა დროულ და მთლიან ათვისებაზე კონტროლის დაწესება.

სამინისტროს ხელმძღვანელობა, საგეგმო-საფინანსო სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო

1986 წ.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე მოწვევის მეხუთე სესიის მასალების მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროგრამებისა და მეთოდიკური მითითებების სრულყოფა. მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის მოთხოვნებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 30 ივნისის თათბირის მასალების გათვალისწინებით.

სამინისტროს ხელმძღვანელობა, სკოლების სამმართველო, სამმართველო-განყოფილებები

1986 წ.

3. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების საქმიანობის შესწავლა. კონკრეტული წინადადებების შემუშავება კონტინგენტის დაგეგმვის, ქსელის განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების საკითხებზე სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად.

საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო, სამმართველო-განყოფილებები
1986 წლის ნოემბერი

4. მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განზოგადება, მათი რეალიზაცია.

სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები

5. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების მუშაობის სტილისა და მეთოდების შესწავლა მათი განზოგადების თვალსაზრისით

საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო
1986 წ.

6. ექვსწლიანებთან მუშაობის პირობების გაუმჯობესების გეგმა-პერსპექტივის შემუშავება და მისი დასამტკიცებლად წარმოდგენა

სკოლების სამმართველო
1987 წლის 1-ლი კვარტალი

7. მცირეკომპლექტიან სკოლებში საგანთა სწავლების მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება

სკოლების სამმართველო
1987 წლის II კვარტალი

8. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლების პრობლემებზე მთავარ გამოთვლით ცენტრთან ერთად რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება

სკოლების სამმართველო
1988 წლის IV კვარტალი

9. საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის რეალური კონტინგენტის დადგენა და ნებაყოფლობის პრინციპის გათვალისწინებით სკოლების დაკომპლექტება

საღამოს სკოლების სამმართველო
1986 წლის III კვარტალი

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტატისტიკურ სამმართველოში წარსადგენ მოსწავლეთა შრომითი და პროფესიული მომზადების, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საკითხებზე სტატისტიკური აღრიცხვიანობის მომზადება

შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილება, სტატისტიკური განყოფილება
1987 წლის II კვარტალი

11. რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების კაბინეტების სასწავლო-მატერიალური ბაზის სრული კომპლექსის შექმნის უზრუნველყოფა, ახალი პროგრამებისა და მეთოდიკური რეკომენდაციების შესაბამისად დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების პროცესის ძირეული გარდაქმნა

დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
1986 წლის IV კვარტალი

12. მეთორმეტე ხუთწლედში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებათა ქსელის მოწესრიგება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
1986—1990 წ. წ.

13. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შუქზე ინტერნატული ტიპის რესპუბლიკურ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, სათანადო ღონისძიებათა გეგმის შემუშავება

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
1986—1987 წ. წ

14. სანატორიულ და სატყეო სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა ჩარიცხვის ნორმატიულ დოკუმენტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ახალი დებულების შემუშავება

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
1986—1987 წ. წ.

15. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ფორმებისა და მეთოდების მიზანმიმართული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს შემუშავება და გამოცემა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
1986 წლის დეკემბერი

16. საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის" მეთოდური სახელმძღვანელოს გამოცემა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
1987 წლის იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საუკეთესო სახელმძღვანელოებზე „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები", „ასტრონომია", „ბიოლოგია" დამატებითი კონკურსის გამოცხადება. მათი გამოცემის უზრუნველყოფა

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
1987 წლის II კვარტალი

18. ფიზიკის, გეოგრაფიის, ქიმიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების", საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის დამხმარე სამეცნიერო-მეთოდურ ლიტერატურაზე კონკურსის გამოცხადება

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
1987 წლის I—IV კვარტალი

19. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ფორმების სრულყოფის, უფროს კლასებში ლექციური და სემინარული მეცადინეობების ჩატარების უზრუნველსაყოფად მეთოდური წერილის შემუშავება. სწავლებისა და აღზრდის ეფექტური მეთოდების გამოყენებაზე სტატიების პუბლიკაცია

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
1987 წლის 1-ლ სექტემბრამდე

20. უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და დამტკიცება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, კადრების სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი
1987 წლის აგვისტო

21. არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პროფილაქტიკის მიზნით მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე ერთობლივი კოლეგიების მომზადება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, შინაგან საქმეთა სამინისტრო
1987 წლის I კვარტალი

22. მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სკოლისგარეშე დაწესებულებების, საბაზო და საშეფო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობის შესწავლა, სათანადო წინადადებების შემუშავება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987 წლის II კვარტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. სკოლისგარეშე დაწესებულებების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში ეფექტური ფორმებისა და მეთოდების გამოყენების შესახებ მეთოდიკური მითითებების მომზადება

აღმზრდელობითი მუშაობის სამართველო
1987 წლის III კვარტალი

24. მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი და შრომითი აღზრდის საქმეში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების აქტივიზაციის საკითხებზე ქ. თბილისის 98-ე საშუალო სკოლის მუშაობის შესახებ რეკომენდაციების გამოცემა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987 წლის I-II კვარტალი

25. მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით კლუბებისა და მოყვარულთა გაერთიანებების საქმიანობის ორგანიზაციის მუშაობის განზოგადების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987 წლის I-IV კვარტალი

26. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სწავლების ახალ პროგრამებზე გადასვლა

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
1987 წ.

27. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 1-ლი კლასების ქსელის გაფართოება; მათთვის საჭირო პირობების შექმნა

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
1987 წ.

28. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომარაგების პერსპექტივის განსაზღვრა მეთორმეტე ხუთწლედისათვის

1986 წლის IVკვარტალი

29. აღმზრდელთა ატესტაციის ჩატარებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი, მოწინავე გამოცდილების განზოგადება

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
1987—1990 წ. წ.

30. სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის ჩატარება

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
1986 წლის დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31. თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე:
„აღმზრდელთა ინიციატივისა და შემოქმედების განვითარება"
სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
1987 წ.

32. პედაგოგთა შრომის მომსახურებისა და დასვენების პირობების შესწავლა.
კადრების სამმართველო
1987 წლის I კვარტალი

33. კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე კონკრეტული წინადადებების მომზადება
კადრების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
1987 წლის II კვარტალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 1 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### თბილისის 161-ე, 72-ე და ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის შესახებ

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ, რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის რიგმა შრომითმა კოლექტივმა, ცალკეულმა მუშაკმა გულისხმიერება გამოიჩინა განსაცდელში ჩავარდნილი კოლეგების მიმართ და დიდი სურვილი გამოთქვა მათთვის დახმარების გასაწევად, რისთვისაც ჩერნობილის ფონდში, 904 ანგარიშზე გარკვეული თანხა გადაირიცხა. ასეთი ფაქტები დღესაც მასობრივად გრძელდება. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე თბილისის 161-ე და 72-ე, ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ჩერნობილის ფონდში გადარიცხეს თითოეული მუშაკის მიერ გამომუშავებული ერთი დღის ხელფასი და წინადადებებით მიმართეს რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა მუშაკს, მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს თბილისის 161-ე და 72-ე, ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივა ჩერნობილის ფონდში 904 ანგარიშზე სკოლის ყველა მუშაკის მიერ ერთი დღის ხელფასის გადარიცხვის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს:

— სათანადო მუშაობა გასწიონ ადგილებზე სისტემის ყველა მუშაკის მიერ აღნიშნული ინიციატივის მოწონებისა და მხარდაჭერისათვის.

— მიმდინარე წლის ოქტომბერში უზრუნველყონ სახალხო განათლების სისტემის ყველა დაწესებულებაში თანამშრომელთა კრებებზე აღნიშნული ინიციატივის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე განხილვა.

— გადარიცხული თანხის ჩვენებით ბანკის მიერ დამოწმებული ცნობა პირადი ხელმოწერით წარმოადგინონ განათლების სამინისტროში მიმდინარე წლის 10 ნოემბრამდე.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

3. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვახაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 23 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1985—1986 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში სკოლებმა და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისათვის, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭეს სახალხო განათლების თითოეული მუშაკის ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს განმტკიცებას, პედაგოგიური შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, სკოლის მუშაობის პრაქტიკიდან ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის აღმოფხვრას.

ამასთან, როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საინსპექტორო შემოწმებამ, საშუალო სკოლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებების მუშაკთა ერთ ნაწილში სუსტად დამკვიდრდა საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების სულისკვეთება. ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნა ამ ბოლო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებიდან. რიგ შემთხვევაში სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა შიშველი ადმინისტრირების, ხელმძღვანელობის საქაღალდე სტილი. ვერ გარდაქმნეს სიტყვა საქმედ, საჭირო ყურადღება არ ექცევა სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს. მის სიღრმესა და სიმტკიცეზე ზრუნვას, რის გამოც ზოგადსაგანმანათელბლო სკოლების საგრძნობი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ჯეროვან მომზადებას მოქმედი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. რიგ სკოლებში დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში კვლავ ადგილი აქვს არაობიექტურობას, ლიბერალიზმს და პროტექციონიზმს.

რესპუბლიკის სკოლების გამოსაშვებ მე-10 კლასებში მედლის კანდიდატებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში საკონტროლო წერითი ნამუშევრების, აგრეთვე საგნის მასწავლებელთა მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებულმა საკონტროლო წერითი სამუშაოების გადასინჯვამ გამოავლინა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, სკოლებისა და განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ერთი ნაწილის სრული უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში. რესპუბლიკურ საკონტროლო წერაში მონაწილე 795 მედლის კანდიდატის ნამუშევრიდან 182-ს ჩამოაკლდა ნიშანი, მათ შორის ორ-ორი ნიშნით ჩამოფასდა 40 ნამუშევარი.

რიგ სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებზე უხეშად დაირღვა ინსტრუქციის მოთხოვნები, რაც უმთავრესად იმის ბრალია, რომ პედაგოგიურ კოლექტივებში კვლავ გვხვდებიან ცალკეული პირები, რომლებიც უფრო მეტს ზრუნავენ, და არც თუ უანგაროდ, მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურ გაზრდაზე, ვიდრე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მათში ლოგიკური აზროვნების ფორმირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამის შედეგია ის, რომ გამოსაშვებ წერით გამოცდებზე კვლავ ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ „შპარგალკით“ სარგებლობის მცდელობას, საგამოცდო კომისიის წევრების მიერ ნამუშევრების ჩასწორების შემთხვევებს.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სათანადო წესრიგის დამყარება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების საქმეში. არ იგრძნობა განათლების განყოფილების ავანგარდული როლი სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნის საქმეში. უფრო მეტიც, თვით რიგი რაიონის განათლების განყოფილებათა სარეცენზიო კომისიები უპასუხისმგებლოდ, ლიბერალურად მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას, რის შედეგადაც მათ მიერ განათლების სამინისტროში მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 655 მოსწავლის წერითი ნამუშევრებიდან ორ-ორი ნიშნით ჩამოფასდა 49 მოსწავლის ნამუშევარი.

სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში და განათლების განყოფილებებში გამეფებულ ლიბერალიზმზე, არაობიექტურობასა და პროტექციონიზმზე და შესაბამისად მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ცოდნაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებენ ის ფაქტებიც, რომ 1985—1986 სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით 1183 მედლის კანდიდატიდან გამოსაშვებ გამოცდებზე, რომლებსაც განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, 791 მედლის კანდიდატთა რიცხვს გამოეთიშა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 23-მა მედალოსანმა.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ანალიზმა ნათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გამოამჟღავნა, რომ კურსდამთავრებულთა ჯერ კიდევ დიდ ნაწილს სერიოზული ხარვეზები გააჩნია პროგრამული მასალის ცოდნაში. ამასთან ერთად განათლების სამინისტროს სპეციალური კომისიების მიერ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები საგამოცდო ბილეთების შემოწმებით გამოვლინდა, რომ ზოგიერთი საგნის საგამოცდო კომისიების წევრთა ერთი ნაწილი საფუძვლიანად არ იცნობდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამებს და, კერძოდ, იმ ამოცანებისა და მაგალითების ტიპებს, რომლებიც სკოლაში განიხილება, რამაც საგამოცდო ბილეთებში, რიგ შემთხვევაში, არაპროგრამული მასალის შეტანა, საკითხების არათანაბარი განაწილება და ბილეთების სხვადასხვაგვარი სიძნელე განაპირობა. განხვავებამ სასკოლო პრაქტიკასა და მისაღები გამოცდების მოთხოვნებს შორის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა კერძო რეპეტიტორობის განვითარებისათვის და საგრძნობი ზიანი მოუტანა სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტს, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვის საქმეს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს, რაც უსაფუძვლოდ ხელს უწყობს მედლის მაძიებელთა მომრავლებას, დეზორგანიზაცია შეაქვს კურსდამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციაში.

1. 2. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს ცნობის (თან ერთვის) საფუძველზე ღრმად შეისწავლონ და გააანალიზონ 1985—1986 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, განიხილონ კოლეგიის, საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ დასახული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

1. 3. განიხილონ ცნობაში აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელთა, სასკოლო საგამოცდო და სარაიონო (საქალაქო) სარეცენზიო კომისიების იმ წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას და საგამოცდო წერითი ნამუშევრების გასწორებისას გამოავლინეს არაკვალიფიციურობა, უპრინციპობა და ლიბერალიზმი. მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელთა მედალოსნებმაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი

შეფასება დაიმსახურეს და მათთვის კვირეული დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დამამთავრებელ კლასებში საათების მიცემის მიზანშეწონილობა.

1. 4. მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლონ ცნობაში აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გააანალიზონ ცალკეულ საგნებში პროგრამული მასალის ათვისების მდგომარეობა და განხილვის შედეგები აცნობონ განათლების სამინისტროს 1987 წლის მაისამდე.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. დ. ჩხიკვიშვილი):

2. 1. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა მეტი ყურადღება და მომთხოვნელობა გამოიჩინონ მისაღები საგნობრივი კომისიების მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური მუშაკებით დაკომპლექტების საქმეში. მისაღებ კომისიებში მოიწვიონ სპეციალისტები, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ საშუალო სკოლის პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, სასკოლო კურსის ტიპურ ამოცანებს, მაგალითებსა და სავარჯიშოებს.

2. 2. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები საგამოცდო ბილეთების, ამოცანებისა და თემების შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ სკოლის პრაქტიკოს მასწავლებლებს. არ დაუშვან არათანაბარი მოცულობისა და სირთულის ბილეთების შედგენა, მათში არაპროგრამული საკითხების შეტანა. ამოცანებისა და მაგალითების შერჩევისას ორიენტაცია აიღონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დამტკიცებულ სახელმძღვანელოებსა და ამოცანათა და სავარჯიშოთა კრებულებში მოცემულ ამოცანებზე, მაგალითებზე, სავარჯიშოებზე.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1985—1986 სასწავლო წლის გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე გამოვლენილი დარღვევები შესწავლილ და განხილულ იქნა რესპუბლიკის უმრავლესი ქალაქისა და რაიონის პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, განათლების განყოფილებების მიერ და მიღებულია სათანადო გადაწყვეტილებები.

4. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და ცნობის შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე).

5. აღნიშნული გადაწყვეტილება და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს ცნობა „1985—1986 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შესახებ" გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

# ცნობა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1985—1986 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ბოლო წლებში მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სკოლებში თანმიმდევრობით გატარებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, რასაც სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევი გარდაქმნები მოჰყვა და ხელსაყრელი პირობები შექმნა სახალხო განათლების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

ასრულებენ რა სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ეძიებენ და პოულობენ მუშაობის უფრო ეფექტიან თანამედროვე მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს. კონკრეტულ პირობებში არჩევენ მათ ოპტიმალურ ხერხებს, ცდილობენ, სრულად გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების ყველა შესაძლებლობა, რისთვისაც უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ სახალხო განათლების თითოეული მუშაკის ინიციატივის, სოციალისტური თვითმმართველობის, შემოქმედებითი მუშაობის განვითარებას, ახორციელებენ ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ერთიანი კომპლექსის სრულყოფის გეგმაზომიერ ღონისძიებებს. უმრავლესობამ სრულყო და დახვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები; გაატარა საჭირო ღონისძიებები სკოლის მუშაობაში ფესვგამდგარი ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღსაკვეთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც ასეთი მუშაობა თანმიმდევრულ და სისტემატურ ხასიათს ატარებდა, მასწავლებელთა უმრავლესობა ფართოდ ნერგავდა სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სწავლების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს. ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა პრაქტიკულ სამუშაოებს, მოსწავლეებს უყალიბებდა მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, კომუნისტურ მორალსა და ზნეობრივ ნორმებს, საჭირო ყურადღებას აქცევდა შესწავლილი მასალიდან ძირითადი საკითხების გამოყოფას, პირველხარისხოვნის გამოკვეთას, გარდასულ დღეთა და დღევანდელობის წარმოჩენას, კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, შემეცნებით აქტივობას, წიგნზე და ცოდნის სხვა წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას, დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას, რისთვისაც ფართოდ ნერგავდა, განსაკუთრებით უფროს კლასებში, ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, გასაუბრებებს, დისპუტებს, პრაქტიკუმებს, კონსულტაციებს და სხვა.

ყოველივე ამის შედეგად კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით კი მათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლით დაამთავრეს, გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

გასულ 1985—1986 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ძირითადად, ორგანიზებულად დაიწყეს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩაატარეს საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები, რომლებზეც შეჯამდა სკოლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით მოეკიდა გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს.

ამასთან, როგორც რესპუბილკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საინსპექტორო შემოწმებამ, საგნობრივი ოლიმპიადების, სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), რესპუბლიკური საკონტროლო წერების, საშუალო განათლების ატესტატისა და კურსდამთავრებულ მედალოსანთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებების მუშაკთა ერთ ნაწილში სუსტად დამკვიდრდა საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების სულისკვეთება. მათ ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები განათლების სამინისტროს მიერ

ამ ბოლო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებიდან, ვერ დაძლიეს წლების განმავლობაში დომინირებული ინერციის ძალა, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ადმინისტრაციული, საკომოდო-საქაღალდე სტილი, ბევრი მათგანი ქაღალდთმთხზველობამ, რეზოლუციებმა, სხდომებმა, თათბირებმა გაიტაცა, ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდნენ საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, ვერ შექმნეს ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, არ არიან ორიენტირი სხვებისათვის, ვერ გარდაქმნეს სიტყვის ენერგია საქმის ენერგიად, კრიტიკულად ვერ აფასებენ მიღწეულს, მიზნად არ ისახავენ კონკრეტული პრაქტიკული შედეგების მიღწევას. არ აძლევენ ფართო ასპარეზს ინიციატივიან, ენერგიულ, შემოქმედებითად მოაზროვნე და გაბედულად, არასტანდარტულად მოქმედ ადამიანებს, რის გამოც მთელ რიგ სკოლებში დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს, სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას.

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების გარკვეული ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯეროვან მომზადებას სასწავლო პროგრამის ფარგლებში, არ იბრძვის მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა ფორმალიზმი, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, უპასუხისმგებლობა, გულგრილობა, საქმისადმი ეგოისტური დამოკიდებულება. ზოგიერთი სკოლისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო გამოცდებისათვის სათანადო მომზადება, პედაგოგიური კოლექტივების მობილიზება სკოლის ცხოვრებაში ამ უაღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ვერ გაერკვა თავის ფუნქციებში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს არ გააცნო საგამოცდო ინსტრუქციის ის მონაკვეთები, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებოდათ. რის შედეგადაც ინსტრუქციის უხეში დარღვევები აღინიშნა ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, ქ. ჭიათურის, ქ. ტყიბულის, ქ. ბათუმის, ქ. თბილისის საბურთალოს, კალინინის, პირველი მაისის, ბოგდანოვკის, ბოლნისს, გურჯაანის, გეგეჭკორის, გარდაბნის, ვანის, ონის, ზუგდიდის, სოხუმის, საჩხერის, ლაგოდეხის, ლენინგორის, მაიაკოვსკის, მახარძის, ყვარლის, ქარელის, ხაშურის, წალკის, ჩოხატაურის რაიონების რიგ სკოლებში (ყოფილი გამგეები: გ. აბჟანდაძე, ე. გოგეჯიშვილი, ც. მეგრელაძე, ზ. იოსებაშვილი, გ. თავხელიძე, ა. დარჯანია, გამგეები: მ. ქავთარაძე, თ. ფირცხალაშვილი, ნ. წერეთელი, ბ. ორჯონიკიძე, ზ. კომახიძე, ლ. მნათობიშვილი, ლ. ძნელაძე, რ. მღებრიშვილი, ს.ჯაგაცპანიანი, ა. ხუროძე, ნ. ოთარაშვილი, თ. გაგნიძე,

ზ. ზაქარეიშვილი, ა. ენუქიძე, ჯ. მეტრეველი, ნ. კალანდია, მ. [illegible]დიანი, თ. მაისურაძე, ი. მარგიევი, გ. მაჭარაშვილი. ხ. ანასტასოვი, ლ. თოდუა). საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ღონღაძე) 6 მოსწავლე დაგვიანების გამო არ იქნა დაშვებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერით გამოცდაზე, სოფელ სხვიტორის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. მუმლაძე) — 2, საღამოს სკოლის — 1, ქ. თბილისის 47-ე, 51-ე, 53-ე, 55-ე, 130-ე და 183-ე საშუალო სკოლებიდან (დირექტორები: გ. ბოქოლიშვილი, ლ. ზარანდია, ლ. მარგველაშვილი, ო. ლომიძე, მ. ქავთარაძე) — 9. ქ. ჭიათურის 1-ლი, მე-3, მე-8 და მე-10 საშუალო სკოლებიდან (დირექტორები: რ. ნეფარიძე, ნ. მუმლაძე, ა. ჯიშკარიანი, ტ. ნადირაძე) — 5, საღამოს სკოლის (დირექტორი ზ. გეგეშიძე) — 9, ქედის საშუალო სკოლის — 2 მოსწავლე. ტყიბულის ზონის სოფელ საწირის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. გაბადაძე) ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, მაშინ როდესაც სკოლაში მუშაობს გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ისტორიის სპეციალისტი. ქ. ტყიბულის მე-5 და სოფელ ცუცხვათის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ა. ამყოლაძე, ა. კვახაძე) დროულად არ იქნა მომზადებული საგამოცდო მასალები.

ჩოხატაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ლ. თოდუა) სკოლის დირექტორების თათბირი 18 ივნისს დღის 12 საათზე დანიშნა, რის გამოც მე-2 საშუალო სკოლაში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში გამოსაშვები გამოცდები გარკვეული შეფერხებებით ჩატარდა. გურჯაანის რაიონში მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდის წინა დღეს ჩატარდა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის პლენუმი. რომელსაც ყველა სკოლის დირექტორი ესწრებოდა. ონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ჯ. მეტრეველი ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერითი გამოცდის დღეს, 7 ივნისს, თბილისში იმყოფებოდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების კონფერენციაზე დასასწრებად. საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის პლენუმი მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდის დღეს, 31 მაისს, დღის 4 საათზე ჩატარდა. ამდენად, მოსწავლეებს გამოცდიდან პირდაპირ პლენუმზე მოუხდათ მისვლა. ქ. თბილისის საშუალო სკოლებში ადგილი ჰქონდა გამოცდებზე მოსწავლეთა უფორმოდ გამოცხადების შემთხვევებს. წალკის რაიონის მე-2 და სოფელ წინწყაროს საშუალო სკოლებში გამოცდებს არ ესწრებოდნენ სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენლები. ქ. ზუგდიდის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე ქ. ქანთარია არ ითვ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა მედლის კანდიდატად, მაგრამ მაინც აწერინეს ალგებრა და ანალიზის საწყისებში მედლის კანდიდატისათვის განკუთვნილ ფურცლებზე. ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. გურგენიძე) მოსწავლე თ. ჯაფარიძე ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერითი გამოცდის ჩატარების შემდეგ წარმოჩინდა ვერცხლის მედლის კანდიდატად. ვანის რაიონის სოფელ ზემო ვანის საშუალო სკოლის ვერცხლის მედლის კანდიდატის ი. მამასახლისის ნამუშევარი ალგებრა და ანალიზის საწყისებში რაიონის სარეცენზიო კომისიამ ვერ შეაფასა. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის მე-2 საშუალო სკოლის რუსული ენის (მასწავლებელი კ. ჩაჩავა) საგამოცდო მასალებში დაშვებული იყო აზრობრივი და სხვა სახის შეცდომები.

საქმისადმი სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების დაუდევრობაზე, სასწავლო პროცესის სუსტ ორგანიზაციასა და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალ დონეზე მიგვანიშნებს ქ. თბილისის 162-ე და ბოლნისის მე-5 საშუალო სკოლების (დირექტორები: ა. ჯაფარიძე, ა. არაქელიანი) საკლასო ჟურნალების წარმოებაში დაშვებული დარღვევები. ქ. თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მე-9 და მე-10 კლასების საკლასო ჟურნალები ფიზიკურ კულტურაში აპრილის ბოლო რიცხვებიდან, ხოლო შრომით სწავლებაში სასწავლო წლის მე-2 ნახევარში ნაწარმოები არ არის. ბოლნისის მე-5 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის ა. კუიუმჩევას მიერ 15 ოქტომბერს გეომეტრიაში ჩატარებულ საკონტროლო წერას მოსწავლე ა. იზოტოვა არ ესწრებოდა. მასწავლებელს საკლასო ჟურნალში ფიქტიური ნიშანი აქვს შეტანილი. საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნათა უცოდინარობაზე მიგვანიშნებს ამავე სკოლის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ვერცხლის მედლის კანდიდატის მ. შამირამიანის მოქმედებისადმი, რომელსაც მე-8 კლასამდე ინგლისური ენა უსწავლია, შემდეგ გერმანული, ხოლო მე-10 კლასში უარი განუცხადებია უცხოური ენის შესწავლაზე იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული საგანი არ ჭირდება. სკოლის ხელმძღვანელობას დაუკმაყოფილებია მოსწავლის მოთხოვნა და იგი მედლის კანდიდატადაც დაუტოვებია.

უხეში დარღვევები გამოვლინდა საგამოცდო ცხრილების შედგენის საქმეში. სკოლის ხელმძღვანელობის გარკვეული ნაწილი არ იცავს ამ საკითხზე საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნებს. ცხრილების შედგენისას არ არის გათვალისწინებული გამოცდებს შორის შუალედების ხანგრძლივობა თითოეული სასწავლო საგნის კურსის მოცულობის შესაბამისად. ხაშურის რაიონის დაბა სურამის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი უ. ლომიძე) გამოსაშვები მე-10 კლასის საგამოცდო ცხრილის მიხედვით რუსულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა 11 ივნისს იყო დანიშნული, ქიმიაში — 17 ივნისს, ფიზიკაში — 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისს. ქ. ზუგდიდის მე-15 საშუალო სკოლაში (დირექტორი [illegible]ლუა) ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში გამოცდა 19 ივნისს ჩატარდა, უცხოურ ენაში — 20 ივნისს. ტყიბულის ზონის სოფელ კურსების საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ბერიძე) ქართული ენისა და ლიტერატურის წერით და ზეპირ გამოცდებს შორის, რუსული ენისა და ლიტერატურის ზეპირი გამოცდა იყო ჩასმული. საგამოცდო ცხრილების შედგენის საქმეში ნაკლოვანებები გამოვლინდა ქ. თბილისის 1-ლ, 47-ე, 166-ე, ქ. ფოთის მე-5, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ლ. შეწირული, მ. ბოქოლიშვილი, გ. ძნელაძე, თ. ქილიფთარი, ს. გაბუნია).

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ფორმალიზმი, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი და მისგან გამომდინარე სხვა ნეგატიური მოვლენები გამოვლინდა საჩხერის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი პ. მაჭარაშვილი) მე-10 კლასის ფიზიკის გამოსაშვებ გამოცდაზე (მასწავლებელი გ. კვატაია), რაც იმის შედეგია, რომ მასწავლებელი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, ამოცანების ამოხსნას. სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულია 3 ლაბორატორიული სამუშაო ნაცვლად 6-ისა, 5 პრაქტიკული სამუშაო ნაცვლად 10-ისა. ამდენად, გამოსაშვებ გამოცდებზე მე-10 კლასის 26 მოსწავლემ და მათ შორის ვერცხლის მედლის კანდიდატებმაც (გარდა ერთისა) ვერ შეძლეს ბილეთებით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება. გაუჭირდათ საჭირო ხელსაწყოების შერჩევა და მუშაობისათვის მომზადება. ვერ შეადგინეს მარტივი ელექტრული წრედი: არ იცოდნენ ხელსაწყოთა წრედში ჩართვა და სიდიდეთა გაზომვების ჩატარება, ვერ სარგებლობდნენ ცხრილებით, არ იყვნენ დაუფლებული ცდომილებით გამოთვლებს, ვერ იყენებდნენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. ნაკლებად ფლობდნენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. არ შესწევდათ ამოცანების ამოხსნის უნარი. მიუხედავად ასეთი დაბალი ცოდნის დონისა, წლიურ ნიშნებად 16 მოსწავლეს მაღალი შეფასება „4“-ები და „5“-ები ჰქონდათ. გამოცდაზე საგამოცდო კომისიამ მხოლოდ 4 მოსწავლის ცოდნა შეაფასა „4“-ზე და „5“-ზე, სინამდვილეში კი მაღალ ნიშანზე უნდა შეფასებულიყო 3, ხოლო „2“-ზე 8 მოსწავლის ცოდნა.

ბოლნისის 1-ლ ქართულ საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ელიაური, მასწავლებელი ზ. სტეფანია) ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გამოცდაზე ბილეთებში გათვალისწინებული საკითხები მოსწავლეებმა ზერელედ იცოდნენ, საუბრობდნენ არათანმიმდევრულად, უშინაარსოდ, არ შესწევდათ ისტორიული მოვლენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარება-გაანალიზების, სწორი დასკვნების გამოტანის უნარი; თხრობის დროს უშვებდნენ უამრავ შეცდომებს როგორც მეცნიერული, ისე ენობრივი თვალსაზრისით. ვერ იყენებდნენ რუქებს. მე-10 კლასის 23 მოსწავლიდან სსრ კავშირის ისტორიაში წლიური ნიშანი „5“ 13 მოსწავლეს ჰქონდა, საზოგადოებათმცოდნეობაში — 10-ს. ფაქტობრივად გამოცდაზე სკოლის საგამოცდო კომისიის შეღავათიანი შეფასებით „5“ არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია. 4 ფრიადოსნის ცოდნა „3“-ზე შეფასდა, ხოლო მოსწავლეთა ერთ ნაწილს, რომელმაც აშკარა უცოდინარობა გამოამჟღავნა, დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერეს. „უმჯობესია ჩვენ დავისაჯოთ, ვიდრე მოსწავლეებს „2“-ები დავუწეროთო“, — განაცხადეს სკოლის დირექტორმა და საგნის მასწავლებელმა და ამით გული დაიმშვიდეს. სკოლაში აღმოჩნდა სხვა დარღვევებიც: მოუგვარებელი იყო საგამოცდო ოქმების შევსებისა და წარმოების საქმე. გამოცდების ჩატარების შემდეგ ოქმები 2 ცალად არ ივსება. გამოცდის დღეს საგამოცდო ოქმში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის ფურცლებზე შეტანილი არ იყო მოსწავლეთა გვარი, სახელი და მამის სახელი. წერითი და ზეპირი გამოცდების შედეგებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრა და ანალიზის საწყისებში, რუსულ ლიტერატურასა და ქიმიაში ხელს არ აწერდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე — სკოლის დირექტორი. ქიმიაში 5 მოსწავლის საგამოცდო ნიშნები ამოშლილი და გადასწორებული იყო.

ანალოგიური ხასიათის დარღვევები გამოვლინდა ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლაში (ყოფილი დირექტორი ლ. შამუგია). მედლის კანდიდატების ნ. კუჭუხიძის, ს. შენგელიას და ე. ნემსაძის საგამოცდო წერითი ნამუშევრები ალგებრა და ანალიზის საწყისებში რაიონის სარეცენზიო კომისიის მიერ „3“-ზე იქნა შეფასებული. ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლის ვერცხლის მედლის კანდიდატმა დ. შეყელაძემ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში (მასწავლებელი ნ. ტოლეტოვა) გამოსაშვებ გამოცდებზე „3“-ები მიიღო, ხოლო ამ საგნებში ფრიადოსანმა მოსწავლემ ლ. კუკსინამ სსრ კავშირის ისტორიაში „3“, ხოლო საზოგადოებათმცოდნეობაში „2“ მიიღო. ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის გამოცდაზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ლენინგორის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ე. დურგლიშვილი) რუსული ენის საგამოცდო კომისიამ „5“-ზე არაობიექტურად შეაფასა ვერცხლის მედლის კანდიდატის მ. ბურდულის ცოდნა. ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ბოქოლიშვილი) გამოსაშვებ გამოცდებზე, კერძოდ მშობლიური ლიტერატურის ზეპირ გამოცდაზე (მასწავლებელი მ. ხითარიშვილი) 6-მა მოსწავლემ ბილეთი გამოცვალა, თუმცა მაინც გაუჭირდა მოცემულ საკითხებზე პასუხის გაცემა. ქიმიის გამოცდაზე მოსწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ძირითადმა ნაწილმა ვერ გამოავლინა ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების უნარი, ხოლო ისტორიაში ფრიადზე შეფასებულმა მოსწავლემ ნ. არველაძემ გამოცდაზე „3“ მიიღო. 53-ე საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. ბურჯანაძე მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებას ცდილობდა, რაც სკოლის დირექტორის ლ. მარგველაშვილის მიერ იქნა აღკვეთილი. ფრიადოსან მოსწავლეთა ცოდნის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა 51-ე საშუალო სკოლის მედლის კანდიდატების თ. ჩხეიძისა და, განსაკუთრებით, ი. გიგიტაშვილის პასუხები რუსულ ენაში.

რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით მოზარდი თაობის შეიარაღებას, ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, შემოქმედებითი აზროვნების ფორმებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. ამდენად, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ გააჩნია დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, საკუთარი ძალების რწმენა, სხადის სიყალბეს — ცდილობს „შპარგალკების“ გამოყენებას, თვალის ახვევას.

განათლების სამინისტრომ არაერთხელ მიაქცია რესპუბლიკის მასწავლებელთა, სკოლებისა და სახალხო განათლების დაწესებულებათა ხელმძღვანელების ყურადღება სკოლის პრაქტიკიდან ისეთი მანკიერი მოვლენების აღმოფხვრის აუცილებლობას, როგორიცაა ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, არაობიექტურობა, „შპარგალკების“ გამოყენების მცდელობა და სხვ. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, გასულ სასწავლო წელს სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოცდების დაწყების წინ კვლავ შეახსენა მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს, სკოლისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაკებს „შპარგალკების“ გამოყენების ან მის მცდელობასთან დაკავშირებული სამწუხარო შედეგების შესახებ.

მიუხედავად გამაფრთხილებელი ზომებისა, „შპარგალკების“ გამოყენების მცდელობას ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის, მახარაძის, ვანის, ქარელის, ქედის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. „შპარგალკა“ ჩამოერთვა, შედგა აქტი და ნიშანი „2“ გაუფორმდა ქ. თბილისის 51-ე, 55-ე, მე-60, 61-ე საშუალო სკოლების 11, ვანის რაიონის სოფელ შუამთის საშუალო სკოლის 2, მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის 4, ქარელის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის 1 და ქედის რაიონის საშუალო სკოლის 1 მოსწავლეს. ქარელის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ფ. სვანიძე) ოქროს მედლის კანდიდატების ნ. მარღიშვილისა და ქ. მჭედლიშვილის მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით ნამუშევრებში შენიშნულ იქნა ჩასწორებები. იდენტურია 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების მედლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდიდატების ნ. მარლიშვილისა და ე. ბრეგვაძის საგამოცდო წერითი ნამუშევრები, რაც ერთი და იგივე „შპარგალკით“ სარგებლობაზე მიგვანიშნებს. ქარელის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ც. მჭედლიშვილმა თვითნებურად შეცვალა ალგებრა და ანალიზის საწყისების გამოცდისათვის შერჩეული დაფაზე დაწერილი ერთ-ერთი მაგალითის პირობა. ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდისათვის განკუთვნილი თავისუფალი თემა შეცდომით იქნა დაწერილი დაფაზე. ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ც. შარაძე) მათემატიკის საგამოცდო კომისიის წევრი ე. ხურშუბაძე ცდილობდა ჩაესწორებინა მედლის კანდიდატის საგამოცდო წერით ნამუშევარში დაშვებული შეცდომები.

კვლავ დადგინდა მედლის კანდიდატთა შეფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის ფაქტები. მედლის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ მოსწავლეები, რომლებსაც ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში წლიურ ნიშნებად დაუმსახურებელი „5“-ები და „4“-ები ჰქონდათ. საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საშუალო სკოლის (დირექტორი კ. ბიჭაშვილი) ოქროს მედლის კანდიდატის მ. მიშველაძის მე-9 კლასის 3 ოქტომბრის შეფასება უცხოურ ენაში ამოშლილია და ჩაწერილია ნიშანი „5“. მე-10 კლასში ვერცხლის მედლის კანდიდატის ლ. კიპაროიძის შეფასების ნიშნები ალგებრა და ანალიზის საწყისებსა და გეომეტრიაში „3“-ები „5“-ებადაა გადასწორებული. სოფელ მერჯევის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ენუქიძე) ვერცხლის მედლის კანდიდატს ხ. კაპანაძეს მე-10 კლასის მე-2 სემესტრში მშობლიური ენისა და ლიტერატურის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „3“-ისა „4“- ეწერა. ვერცხლის მედლის კანდიდატს ი. ენუქიძეს (დირექტორის შვილს) მე-10 კლასში მე-2 სემესტრში მშობლიურ ლიტერატურაში ნაცვლად „4“-ისა ჰქონდა „5“. საჩხერის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი პ. მაჭარაშვილი) ვერცხლის მედლის კანდიდატის თ. მაჭარაშვილის მე-9 კლასის დაწყებითი სამხედრო მომზადების ნიშანი „4“ გადახაზულია, ხოლო მე-10 კლასში 13 მარტის ფიზიკის ნიშანი „4“ „5“-ადაა გადასწორებული. ამავე სკოლის მე-10 კლასში ვერცხლის მედლის კანდიდატის ი. გელბახიანის 24 თებერვლის ნიშანი ალგებრა და ანალიზის საწყისებში ამოშლილია და ჩაწერილია „5“. ვერცხლის მედლის კანდიდატის ა. მიროტაძის 8 ოქტომბრის ნიშანი გეომეტრიაში მე-9 კლასში ამოშლილია და ჩაწერილია „5“. სოფელ პერევის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. აბრამიშვილი) ვერცხლის მედლის კანდიდატის დ. შუკაკიძის მშობლიური ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერის ნიშნები მე-10 კლასში ამოშლილია და ჩაწერილია „4/4“-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე გადასწორებულია ფიზიკის მიმდინარე შეფასების ნიშნები. ქ. ზუგდიდის მე-11 საშუალო სკოლის (დირექტორი ე. კვარაცხელია) ვერცხლის მედლის კანდიდატს ხ. ქანთარიას მე-10 კლასის 1-ლ სემესტრში ფიზიკაში ნაცვლად „4“-ისა „5“ უწერია. ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ცხადაია) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. კარტოზიას მე-10 კლასში მე-2 სემესტრში მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი ნამუშევრის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „4“-ისა „5“ უწერია. ქ. თბილისის 162-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ჯაფარიძე) ოქროს მედლის კანდიდატებს ვ. შათირიშვილსა და ე. დაუშვილს მე-9 კლასის მე-2 სემესტრში შესაბამისად გეომეტრიასა და გერმანულ ენაში ნაცვლად „4“-ისა, „5“-ები უწერიათ. მედლის კანდიდატს ნ. ბაციკაძეს მე-9 კლასში მე-2 სემესტრში გეოგრაფიაში ნაცვლად „4“-ისა „5“ უწერია. ვერცხლის მედლის კანდიდატმა ნ. პაიჭაძემ მე-9 კლასში 21 სექტემბერს გააცდინა ალგებრა და ანალიზის საწყისების გაკვეთილი, თუმცა გაცდენის აღმნიშვნელი ასო „ა“ „5“-ადაა გადაკეთებული. ფიზიკაში მიმდინარე შეფასების 16 მარტის ნიშანი ამოშლილია და ჩაწერილია „4“. ალგებრა და ანალიზის საწყისებში 1-ლი სემესტრის ნიშანს „4“-ს ხაზი აქვს გადასმული და წითელი ფერის პასტით ჩაწერილია „5“, ასევე გეომეტრიაში „5“-ს ხაზი აქვს გადასმული და დაწერილია „4“. ვერცხლის მედლის კანდიდატი ე. წერეთელი 23 აპრილის შემდეგ შეუფასებელია ალგებრა და ანალიზის საწყისებსა და გეომეტრიაში. მას ფიზიკურ კულტურაში მე-2 სემესტრში ნაცვლად „4“-ისა ჰქონდა „5“. ქ. თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ვერცხლის მედლის კანდიდატს გ. ჩიხრაძეს მე-9 კლასის მე-2 სემესტრში ქართულ ლიტერატურაში ნაცვლად „4“-ისა ჰქონდა „5“. გ. სეთურიძე მე-9 კლასის მე-2 სემესტრში უახლეს ისტორიაში ერთხელაა შეფასებული და გადასწორებული „5“ უწერია, ხოლო მე-11 კლასში ქიმიის მიმდინარე შეფასების ბოლო ნიშანი „5“-ადაა გადაკეთებული. ქ. რუსთავის მე-2 და მე-20 საშუალო სკოლების მედლის კანდიდატებს ი. დვალიშვილსა და გ. აკოპჯანოვს 1-ლ და მე-2 სემესტრებში ალგებრა და ანალიზის საწყისებში ნაცვლად „4“-ებისა „5“-ები ეწერათ. ბოგდანოვკის რაიონის მე-2 და სოფელ კონდურის საშუალო სკოლების მედლის კანდიდატებს ა. გრაფსკისა და გ. კრიკიანს რუსულ ლიტერატურაში ნაცვლად „3“-ებისა „4“-ები ეწერათ. სოხუმის რაიონის სოფელ ზემო ბურის საშუალო სკოლის მოსწავლეს კ. კურტანიძეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი ნამუშევრის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „3“-ისა „4“ ეწერა. სოფელ ბესლეთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ზარქუამ ვერცხლის მედლის კანდი-

დატად წარმოადგინა მოსწავლე ე. შენგელია, რომელსაც მე-9 კლასში მშობლიურ ენაში წლიურ ნიშნად „3“ ჰქონდა.

სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა დაწვრილებით არ გააანალიზა და ღრმად არ ჩასწვდა საგამოცდო ინსტრუქციით გათვალისწინებულ საკითხებს. ზოგან სათანადო საბუთებში არ შეიტანეს სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობის ნიშნები. წერითი და ზეპირი, წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე არასწორად იყო გამოყვანილი საატესტატო ნიშნებიც. იყო შემთხვევები, როცა მედლით დაჯილდოვებისათვის ისეთი მოსწავლეები იყვნენ წარმოდგენილი, რომლებსაც ერთ ან სამ საგანში საბოლოო ნიშნებად „4“-ები ეწერათ.

ქ. თბილისის 112-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. გორდაძე) ვერცხლის მედლის კანდიდატს ნ. ეზიაშვილს ალგებრა და ანალიზის საწყისებში მე-9 და მე-10 კლასებში წლიურ ნიშნებად „4“-ები უწერია, გამოცდაზე „5“ მიუღია, საატესტატო ნიშნადაც „5“ გამოუყვანიათ. 30-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ს. მელაძე) მედლის კანდიდატებს ხ. წიკლაურსა და გ. მეტრეველს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე ლიტერატურულ ნაწილში „4“-ები მიუღიათ, ზეპირ გამოცდაზე — „5“-ები, საატესტატო ნიშნებადაც მათთვის „5“-ები გამოუყვანიათ. 139-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი მ. აგლაძე) ოქროს მედლით დასაჯილდოებლად წარმოადგინა მოსწავლე ნ. მაღედანის კანდიდატურა, რომელსაც ფიზიკაში საატესტატო ნიშნად „4“ ეწერა. ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ა. ცხადაია) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. ყიზილაშვილს მშობლიურ ლიტერატურაში ნაცვლად „4“-ისა „5“ ეწერა. მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოს საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. კვიციანი) ვერცხლის მედლის კანდიდატს რ. სუბელიანს სამ საგანში, კერძოდ: მშობლიურ ენაში, მშობლიურ ლიტერატურასა და ალგებრა და ანალიზის საწყისებში „4“--ები ჰქონდა და მაინც მედლით დასაჯილდოებლად წარმოადგინეს. სოფელ ცხუმრის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. აროვლიანი) მედლის კანდიდატს ლ. აროვლიანს ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერითი ნამუშევარი განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ „4“-ზე შეაფასა, მაგრამ სკოლამ საატესტატო ნიშნად მაინც „5“ გადაუტანა. სოფელ მულახის საშუალო სკოლის (დირექტორი ე. მარგიანი) მედლის კანდიდატს ხ. გუჯეჯიანს მშობლიურ ლიტერატურაში ნაცვლად „4“-ისა „5“ ჰქონდა. ახალქალაქის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. აზარიანი) მედლის კანდიდატს რ. უზუნიანს მშობლიურ ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერატურაში ნაცვლად „4“-ისა „5“ ეწერა. ბორჯომის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. ლომიძე) მედლის კანდიდატს დ. კურტანიძეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი ნამუშევრის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „4“-სა „5“ ეწერა. ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. მელანაშვილი) მედლის კანდიდატებს ც. ნებიერიძესა და გ. ოქროპირიძეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერითი ნამუშევრის ენობრივ ნაწილში ნაცვლად „4“-ისა „5“ ეწერათ. თეთრი წყაროს რაიონის სოფლების მანგლისის მე-2 და ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლების (დირექტორები ს. ლამბრიანოვა, გ. გოგოლაძე) ვერცხლის მედლის კანდიდატებს ნ. ასლანიდს, დ. ბექუაშვილსა და ი. დუგლაძეს სამ საგანში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრა და ანალიზის საწყისებში „4“-ები ჰქონდათ, თუმცა ისინი მაინც წარმოადგინეს მედლით დასაჯილდოებლად.

ქ. ქუთაისის მე-3, მე-9, მე-10, მე-13, ბოლნისის რაიონის მე-2, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის, გორის რაიონის სოფელ სვენეთის, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთას, ჩოხატაურის რაიონის 1-ლი, თეთრი წყაროს რაიონის მე-2 და მახარაძის რაიონის ზოგიერთი საშუალო სკოლის საგამოცდო კომისიებმა და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებათა წარმომადგენლებმა არ დაიცვეს განათლების სამინისტროს მითითება მედლის კანდიდატთა წერით ნამუშევრებზე ხელის მოწერის, რეცენზიის, შეფასებისა და სხვა პირობითი ნიშნების მიცემის მიზანშეუწონლობის შესახებ. ჩოხატაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ჯიბლაძემ მედლის კანდიდატების ნ. ალანიასა და მ. ბოლქვაძის ნამუშევრებს პირობითი ნიშნები გაუკეთა. ქ. თბილისის 151-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. მიქაძე) მედლის კანდიდატებს შავი ნამუშევრები ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიერ გაცემულ შტამპიან ფურცლებზე შეასრულებინეს. ადგილი ჰქონდა საკლასო ჟურნალებში სემესტრული ნიშნების ფანქრით შეტანის შემთხვევებს, ხოლო 52-ე, 64-ე და 161-ე საშუალო სკოლებში — მედლის კანდიდატთა მიმდინარე შეფასების ნიშნების ამოშლასა და ჩასწორებას.

საინსპექტორო შემოწმებით ისიც გამოირკვა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი თითქმის ყოველ გაკვეთილზე ახდენს ოქროს მედლის კანდიდატთა გამოკითხვა-შეფასებას, მაშინ როდესაც დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი მომზადების მოსწავლეები სემესტრის განმავლობაში სამ-ოთხჯერ თუ იყვნენ შეფასებული.

რესპუბლიკის სკოლების გამოსაშვებ მე-10 კლასებში სასწავლო წლის ბოლოს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მედალოსნებისათვის ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრების, აგრეთვე საგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნის მასწავლებლების მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტრო-ლო ნაწერების გადასინჯვამ გამოავლინა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების ერთი ნაწილის სრული უპასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს არა აქვს მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, ვიწროა მათი ენობრივი და ლიტერატურული თვალსაწიერი. არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობას, მშობლიური ენის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენების უუნარობის შემთხვევებს. მოსწავლეები არადამაკმაყოფილებლად იცნობენ შესწავლილი მხატვრული ქმნილების ტექსტებს, ვერ ერკვევიან მის დედააზრსა და მნიშვნელობაში, არა აქვთ აზრის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, მსჯელობა პრიმიტიულია და მოკლებულია დამაჯერებლობას; უშვებენ ბევრ ფაქტობრივ, ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილურ და სხვა სახის შეცდომებს, ადგილი აქვს ნორმაზე გაცილებით მეტი (10-20-25) გადაშლა-გადასწორების შემთხვევებს.

სიტყვიერების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება, მოსწავლეებს მისცეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგი სკოლების საგამოცდო და სარაიონო (საქალაქო) სარეცენზიო კომისიები მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორება-შეფასებაში იჩენენ უპრინციპობას, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასა და საქმისადმი ლიბერალურ მიდგომას. თუ არა ამით, რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რაიონების (ქალაქების) სარეცენზიო კომისიები არ ამჩნევენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ უამრავ შეცდომას და მათ დაუმსახურებელი მაღალი ნიშნებით აფასებენ.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში არაობიექტურობის, ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის ტყვეობაში მოექცა საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ენუქიძე) პედაგოგიური კოლექტივი, რაც რესპუბლიკურმა საკონტროლო წერამ წარმოაჩინა. გამოსაშვებ მე-10 კლასში 3 ოქროს მედლის კანდიდატი ირიცხებოდა — ი. ენუქიძე (დირექტორის შვილი), ი. დეკანოიძე და ხ. კაპანაძე. 1-ლი სემესტრის ბოლოს სასკოლო და სარაიონო საკონტროლო წერების ჩატარების, აგრეთვე მიმდინარე შეფასების საფუძველზე ი. დეკანოიძე მედლის კანდიდატთა რიცხვს გამოეთიშა, ხოლო ი. ენუქიძე და ხ. კაპანაძე ვერცხლის მედლის კანდიდატებად დარჩნენ. განაწყენებულმა ი. დეკანოიძის მშობელმა განცხადებით მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა პარტიის რაიონულ კომიტეტს და დირექტორის შვილის ი. ენუქიძის მედლის კანდიდატად დატოვების საკითხის გადასინჯვა მოითხოვა. მშობელსა და სკოლის დირექტორს შორის კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. გაუთავებელი დავის გადაჭრის მიზნით მიღებულ იქნა შეთანხმება ი. დეკანოიძის რესპუბლიკურ წერაზე დაშვების შესახებ. რესპუბლიკური საკონტროლო წერის შედეგად მედლის კანდიდატთა რიცხვს სამივე მოსწავლე გამოეთიშა. ამით განაწყენებულმა სკოლის დირექტორმა ეჭვი შეიტანა სამინისტროს სარეცენზიო კომისიის ობიექტურობაში, სახელდობრ: ი. დეკანოიძის ნამუშევრის შეფასების საქმეში. აღსანიშნავია, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ყოფილი გამგე გ. აბჟანდაძე ვერ გაერკვა საქმის ნამდვილ ვითარებაში, გამოიჩინა უპრინციპობა და დროულად ვერ მიიღო სათანადო ზომები მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებისათვის.

მედლის კანდიდატების: ე. დემურიშვილის, ი. ნეპოსიდიაკის, ნ. გაგლოშვილის (ქ. გორის მე-2, მე-6, მე-12 საშუალო სკოლების დირექტორები: ო. ელიოზიშვილი, ც. მეხუზლა, ვ. სესიტაშვილი, მასწავლებლები: ი. დოლიძე, ლ. შიუკაშვილი, ნ. ტატიშვილი) ი. კუჭავას, ფ. ტყაბლაძის, ი. კუხიანიძის (წყალტუბოს ზონის მე-2, მე-3. სოფელ მუხიანის საშუალო სკოლების დირექტორები: ჟ. ბრეგაძე, ბ. ბასილაძე, კ. ნიქაბაძე, მასწავლებლები: მ. ჯიქია, კ. ნემსაძე, დ. ბაბუნაშვილი), ი. გოგოხიას (ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი კ. ქერქაია, მასწავლებელი ა. ქანთარია), მ. თევდორაძის (ქ. რუსთავის მეე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ე. ჭიპაშვილი, მასწავლებელი ლ. ლომსაძე), დ. ბეჟაშვილის, ნ. ასლანოვის, გ. მესტვირიშვილის, მ. კაციტაძის, მ. წიკლაურის, ლ. ჩოხელის, ლ. მელიქიშვილის (თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მანგლისის 1-ლი, მე-2, სოფელ ასურეთის საშუალო სკოლების დირექტორები ა. ჯმუხაძე, ს. ლამბრიანოვა, დ. ბექაური, მასწავლებლები: ა. ასლანოვა, ლ. წულუკიძე, ლ. წიკლაური), ნ. რუხაძის (ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის დირექტორი თ. მინაძე, მასწავლებელი მ. ყანჩაშვილი), გ. კრიკიანის (ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი გონდურის სკოლის დირექტორი ვ. მიქაელიანი, მასწავლებელი ჩ. ნაზარიანი), ნ. აბესაძის, დ. დათუაშვილის (გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორი ე. ტატიაშვილი, მასწავლებელი ა. მღებრიშვილი), ნ. ხვისტანის, მ. ვიბლიანის (მესტიის 1-ლი, სოფელ ბეჩოს საშუალო სკოლების დირექტორები: მ. ჯაფარიძე, ბ. კვიციანი, მასწავლებლები: ს. მჭედლიანი, დ. აფრასიძე), გ. ონიანის (ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ონიანი, მასწავლებელი დ. გუგუნავა), რ. მარგიევის, მ. გიგიევის, ლ. გაბიევის (ლენინგორის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ვალიევი, მასწავლებელი მ. ტერტეროვა),

ი. გავარის (თელავის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი ტ. [illegible]შვილი, მასწავლებელი ი. ბაქრაძე), ქ. შუშანაშვილის, ზ. გიანაშვილის (თიანეთისა და სოფელ ტუშურების საშუალო სკოლების დირექტორები: მ. ჭეიშვილი, პ. ციხელაშვილი, მასწავლებლები: გ. ჭრელოშვილი, ო. ბერიკაშვილი), გ. ელბაქიძის (ქარელის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ჭანიშვილი, მასწავლებელი მ. გეგელაშვილი), ი. გელბახიანის (საჩხერის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი პ. მაჭარაშვილი, მასწავლებელი მ. ჭიტაძე), დ. გელენიძის (წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. ბარაბაძე, მასწავლებელი ნ. ბარაბაძე), გ. აბაიძის, ი. ირემაშვილის (ხაშურის რაიონის მე-3, სოფელ ალის საშუალო სკოლების დირექტორები: გ. ამირხანოვი, ჭ. ნოზაძე, მასწავლებლები: ნ. სულეიმანაშვილი, ი. ნოზაძე), ლ. მიხელაშვილის, შ. კაშიას, მ. წურწუმიას (ცხაკაიას რაიონის მე-2, მე-5 საშუალო სკოლების დირექტორები: ი. ბახტაძე, ა. ბერაია, მასწავლებლები: ტ. ყიფიანი, მ. სიჭინავა) „5"-ზე შეფასებული რესპუბლიკური, აგრეთვე მასწავლებელთა მიერ მე-2 სემესტრში ჩატარებული ყველა საკონტროლო წერითი ნამუშევარი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიამ „3"-ზე ჩამოაფასა, ხოლო მ. ჭეჟიას, ნ. ბამრაგდაროვას (ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის მე-2, სოფელ ნარაზენის საშუალო სკოლების დირექტორები: ბ. გიგლემიანი, ა. გვაჯაია, მასწავლებლები: შ. ცინდელიანი, რ, ბეჭვაია) და ი. ლომაიას (ცხაკაიას რაიონის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ბერაია, მასწავლებელი მ. სიჭინავა) ნამუშევრები „2"-ზე ჩამოაფასა.

გამოსაშვები მე-10 კლასების მე-2 სემესტრში ჩატარებული საკონტროლო ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებას ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის 29-ე, ქ. ზუგდიდის მე-10, ქ. რუსთავის 22-ე, წყალტუბოს 1-ლი, გურჯაანის რაიონის სოფლების ვეჯინის, არაშენდას, ჩუმლაყის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის, მახარაძის რაიონის 1-ლი, მე-5, სოფელ ძიმითის, ზესტაფონის რაიონის მე-4, ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშის, ხობის რაიონის სოფელ ზუბის, ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლეწურწუმეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალოს სკოლებში. დასახელებულ მოსწავლეებს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად უარი ეთქვათ მედლით დაჯილდოებაზე.

სკოლებისა და ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების საგრძნობი ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიების დაკომპლექტების საქმეს. მათ შემადგენლობაში შეიყვანეს ნაკლებად კომპეტენტური, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რომლებმაც ბოლომ-

დე ვერ განახორციელეს სამართლიანი მოთხოვნები, ვერ ან არ შეამჩნიეს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და განათლების სამინისტროში წარმოადგინეს მედლის კანდიდატთა ისეთი ნამუშევრები, რომლებიც „5"-ზე შეფასებას არ იმსახურებდნენ. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები წარმოდგენილი საგამოცდო წერითი ნამუშევრების „3"-ზე შეფასებისა.

„5"-დან „3"-ზე ჩამოფასდა შემდეგი მოსწავლეების საგამოცდო წერითი ნამუშევრები: გ. მანჯგალაძის, ტ. პეტროვის, გ. შურღაიას, თ. ტუღუშის, ხ. ზუბიტაშვილის, დ. გალეგაშვილის, ლ. ბარამიძის, ნ. მჭედლიშვილის, თ. კაკიაშვილის, ნ. ქავთარაძის (ქ. თბილისის მე-5, მე-12, 48-ე, 51-ე, 57-ე, 77-ე, 87-ე, 117-ე, 126-ე საშუალო სკოლების დირექტორები: ნ. კირვალიძე, ს. ჯერვალიძე, ლ. ზარანდია, გ. ეპიტაშვილი, რ. ნინუა, ნ. კობახიძე, ც. ლეჟავა, ყოფილი დირექტორი რ. კამკამიძე, მასწავლებლები: ლ. მგალობლიშვილი, ვ. კაჭარავა, მ. მიდელაური, თ. ტყემალაძე, ე. გონაშვილი, ნ. სიხარულიძე, მ. ყირმელაშვილი, თ. ლეკიაშვილი, ე. ხუროშვილი), ს. შენგელიას, ნ. კუჭუხიძის, მ. გაბადაძის, ხ. ღვალაძის, გ. ცაცაშვილის (ქ. ქუთაისის მე-3, 21-ე, 22-ე, 32-ე საშუალო სკოლების ყოფილი დირექტორები: ლ. შამუგია, ქ. ნადირაძე, დირექტორები: გვაზავა, გ. გვიშიანი, მასწავლებლები: ნ. სალარიძე, თ. რუსაძე, ა. ბეჟაშვილი, ლ. ჯავახაძე), თ. სოსელიას, ე. კვარაცხელიას (ქ. ზუგდიდის მე-8, მე-11 საშუალო სკოლების დირექტორები: მ. ნაროუშვილი, ე. კვარაცხელია, მასწავლებლები: ს. გულუა, დ. ლომაია), ხ. კოტოლაშვილის (ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორი მ. აბუაშვილი, მასწავლებელი რ. გიგუაშვილი), მ. გულუას (ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორი რ. ბასილაია, მასწავლებელი ე. ჯალეიშვილი), თ. ბუზალაძის (ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მოსიაშვილი, მასწავლებელი მ. რიკაძე), მ. ქავთარაძის (ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის საშუალო სკოლის დირექტორი თ. ბუცხრიკიძე, მასწავლებელი ც. თოთაძე), ა. ხოდოიანის, ე. ავაქიანის, ს. ალექსანიანის (ახალქალაქის რაიონის მე-4, სოფელ მაჯადიის, სოფელ ბურნაშეთის საშუალო სკოლების დირექტორები: კ. არახანიანი, კ. ქოჩოიანი, ე. შირინიანი, მასწავლებლები: ლ. კოსიანი, ა. ხედოიანი, ვ, აგაბაბიანი), ა. კვესელავას (გეგეჭკორის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი გ. გალდავა, მასწავლებელი ლ. ციცხვაია), ნ. ლაღაძის, მ. მანიჟაშვილის (გურჯაანის რაიონის მე-3, სოფელ ჭანდრის საშუალო სკოლების დირექტორები: ი. ქიტოშვილი, გ. ნატროშვილი, მასწავლებლები: გ. ბერიშვილი, ლ. ჩომახაშვილი), კ. ნაყოფიას, მ. ქობალიას (გალის რაიონის მე-3, მე-4 საშუალო სკოლების დირექტორები: შ. ფარულავა, მ. ასლანუა, მასწავლებლები: დ. ბასარია, მ. კუკავა), ნ. ხვისტანის, გ. ჭელიძის (მესტიის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი მ. ჯაფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიძე, მასწავლებელი ს. მჭედლიანი), ნ. ლომიძის (მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის საშუალო სკოლის დირექტორი გ. კეკელია, მასწავლებელი შ. გოგუაძე), ნ. თოდუას (ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი მ. ნაჭყებია, მასწავლებელი შერაზადაშვილი), ქ. გიგანის, ზ. სომხიშვილის, მ. დარჩიაშვილის, ზ. სესიტაშვილის (სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის, სოფელ საქობოს საშუალო სკოლების დირექტორები: ლ. აბრამიშვილი, ე. სიფაშვილი, ჯ. სესიტაშვილი, მასწავლებლები: გ. მუნჯიშვილი, ზ. ხაჩიშვილი, გ. ყოჩიაშვილი), დ. გოლოვას, თ. შენგელიას (ოჩამჩირის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ე. ადლეიბა, მასწავლებელი თ. აბაშიძე), თ. ღუდუშაურის (ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლის დირექტორი მ. კობაიძე, მასწავლებელი დ. მინდიაშვილი), ქ. მჭედლიშვილის, ნ. მარლიშვილის (ქარელის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ფ. სვანიძე, მასწავლებელი ი. გაბარაშვილი), ლ. არჯევანიძის, ი. ამონაშვილის (თელავის რაიონის 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლების დირექტორები: დ. ბოჭორიძე, მ. ელისაბედაშვილი, მასწავლებლები: ნ. ჯიმშიტაშვილი, ქ. ლეკიშვილი), მ. პარკაულის (წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. წიკლაური, მასწავლებელი ნ. ნატროშვილი), გ. ხარჩილავას, კ. შანავას (წალენჯიხის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მიქავა, მასწავლებელი ვ. კვარაცხელია), ბ. ბერაძის (წულუკიძის რაიონის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ი. ბახტაძე, მასწავლებელი იაბლონსკაია), ზ. ცირამუას (ჩხოროწყუს რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ი. პაპავა, მასწავლებელი — მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი ლ. სიჭინავა).

ასეთივე მდგომარეობა იკვეთება ალგებრა და ანალიზის საწყისების საგამოცდო წერითი ნამუშევრების განხილვის შედეგადაც. როგორც გამოირკვა, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საკმა ონაწილმა სუსტად იცის გავლილი საპროგრამო მასალა, მედლის კანდიდატთა ნამუშევრების ანალიზიდან ირკვევა, რომ მოსწავლეებს უძნელდებათ ფუნქციათა გამოკვლევა სქემისა და წარმოებულის გამოყენებით; ცხრილებს ადგენენ მსჯელობისა და დასაბუთების გარეშე, გრაფიკის აგებისას არ იცავენ თანმიმდევრობას, არ პოულობენ აგებისათვის საჭირო წერტილებს, ყურადღებას არ აქცევენ მასშტაბის შერჩევის საკითხს, ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ღია და დახურულ შუალედებს და ვერ აკეთებენ სათანადო ჩანაწერებს. ლოგარითმულ და ირაციონალურ განტოლებათა ამოხსნისას უგულებელყოფენ განტოლებაში შემავალი ცვლადის დასაშვებად მნიშვნელობათა განსაზღვრას და მიღებული ამონახსნების შემოწმებას. დავალებად მიცემული ირაციონალური განტოლების ამოხსნისას ვხვდებით

ჩანაწერებს $x > 0,5$, რაზედაც ნამუშევრების გასწორებისას ყურადღება მიქცეული და განტოლებაში შემავალი ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის საკმარისადაა ჩათვლილი. $\lg(4,5-x)=\lg 4,5-\lg x$ განტოლების ამოხსნისას ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის კმაყოფილდებიან "$x \geqslant 0$" ჩანაწერით, რაც შემოწმების დროს შენიშნული არ არის და რეაგირების გარეშეა დატოვებული. მედლის კანდიდატთა ნამუშევრების შემოწმებისა და შეფასებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულბის შედეგია, რომ განათლების სამინისტროში განხილული 591 მედლის კანდიდატის ნამუშევრიდან 66-ს ჩამოაკლდა თითო ნიშანი, ხოლო „5"-დან „3"-ზე ჩამოფასდა ნ. ლაზარიაშვილის (თელავის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი დ. ბოჭორიძე, მასწავლებელი მ. ცუცქირიძე) და ვ. მაისურაძის (ონის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ნ. მეტრეველი, მასწავლებელი ც. ცერცვაძე) ნამუშევრები.

მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების არაობიექტურად შეფასების ფაქტებს უმეტესწილად ადგილი ჰქონდა ქ. რუსთავის, ასპინძის, გორის, თელავის, მესტიის, ონისა და მახარაძის რაიონებში. ზესტაფონის რაიონიდან წარმოდგენილი 6 ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა 3-ს, თელავის რაიონიდან წარმოდგენილი 10 ნამუშევრიდან — 4-ს, მახარაძის რაიონიდან წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ნიშანი დააკლდა 35%-ს. საგამოცდო წერითი ნამუშევრების შეფასებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შემთხვევები შეინიშნება რესპუბლიკის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

აღნიშნული ნაკლოვანებები, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ბევრ შემთხვევაში სკოლა მოქცეულია იმ მშობელთა არაჯანსაღი გავლენის ქვეშ, რომლებიც თავიანთი შვილებისათვის დაუმსახურებლად მაღალი ნიშნების დაწერასა და ჯილდოების გაცემას მოითხოვენ. ასეთი „აქტიური" მშობლების ზეგავლენით ზოგიერთი სკოლის დირექტორი და საგნის მასწავლებელი საბოლოო ნიშნებს წინასწარ გამიზნულად უმაღლებენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც „პოტენციურ მედალოსნებად" ითვლებიან.

სკოლებისა და ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ერკვევა განათლების სამინისტროს მოთხოვნებსა და ძირითად მიმართულებებში, ვერ უზრუნველყოფს იმ დიდი მოვალეობის შესრულებას, რაც სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს აკისრიათ სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს თავიდანვე აჩვევენ აკადემიუ-

რი წარმატების ხელოვნურად ამაღლებას, მათთვის დაუმსახურებელი მაღალი ნიშნების წერას, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1985—1986 სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით 1183 ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატიდან სამინისტროს მიერ ჩატარებული საინსპექტორო შემოწმებისას რესპუბლიკური საკონტროლო წერებისა და საგაზაფხულო გამოცდების შედეგად 791-მა ვერ მიიღო მაღალი შეფასება და მედლის კანდიდატთა რიგებს გამოეთიშა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ცალკეული რაიონებისა და ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სახელდობრ: ქ. თბილისის ლენინის რაიონის (ამხ. დ. კალანდაძე) საშუალო სკოლების 24 მედლის კანდიდატიდან მედლის მოპოვების უფლება დაკარგა 11-მა, კალინინის რაიონის (ამხ. ლ. ძნელაძე) საშუალო სკოლების 27 მედლის კანდიატიდან — 10-მა, ორჯონიკიძის რაიონის (ამხ. ნ. სოსელია) — 44-დან — 17-მა, 26 კომისრის რაიონის (ამხ. ა. ღამბაშიძე) — 26-დან — 10-მა, საბურთალოს რაიონის (ამხ. ლ. მნათობიშვილი) — 49-დან — 21-მა, ქ. ქუთაისის (ამხ. თ. ფირცხალაშვილი) — 39-დან —28-მ, ქ. რუსთავის — 14-დან — 10-მა, ქ. ზუგდიდის (ამხ. მ. ქავთარაძე) — 18-დან — 12-მა, ქ. სოხუმის (ამხ. მ. მალიშავა) — 70-დან — 23-მა, გალის რაიონის (ამხ. ლ. შენგელია) — 14-დან — 8-ამ, ოჩამჩირის რაიონის (ამხ. ნ. ფაჩულია) — 15-დან — 9-ამ, სოხუმის რაიონის (ამხ. მ. ლეთოდიანი) — 12-დან — 6-მა, ქ. ბათუმის (ამხ. ზ. კომახიძე)— 38-დან — 21-მა, ქ. ცხინვალის (ამხ. რ. თადტაევი) — 25-დან—10-მა, ადიგენის რაიონის (ამხ. ზ. კუბლაშვილი) — 5-დან — 4-მა, ახმეტის რაიონის (ამხ. ზ. წითელაური)—6-დან — 5-მა, გურჯაანის რაიონის (ამხ. ნ. ოთარაშვილი) — 9-დან — 7-მა, ზესტაფონის რაიონის (ყოფილი გამგე გ. ბურჯანაძე) — 8-დან — 5-მა, ქარელის რაიონის (ამხ. თ. გაგნიძე) — 7-დან 5-მა, მახარაძის რაიონის (ამხ. ც. მეგრელაძე)— 16-დან — 10-მა, მესტიის რაიონის (ამხ. გ. ზურებიანი) — 8-დან — 5-მა, სიღნაღის რაიონის (ამხ. რ. ბექაშვილი) — 6-დან — 5-მა, თელავის რაიონის (ამხ. ლ. მუმლაური) — 14-დან — 11-მა, ხაშურის რაიონის (ამხ. გ. მაჭარაშვილი) — 8-დან — 7-მა, ბოლნისის რაიონის (ამხ. ე. გობეჯიშვილი) — 4-დან—4-მა, გარდაბნის რაიონის (ამხ. ზ. ზაქარეიშვილი) — 6-დან — 6-მა, ყაზბეგის რაიონის (ამხ. ა. ხუციშვილი) — 2-დან — 2-მა, კასპის რაიონის (ამხ. რ. გახელაძე) — 3-დან — 3-მა, ლანჩხუთის რაიონის, (ამხ. ბ. კუტალაშვილი) — 7-დან — 7-მა, მაიაკოვსკის რაიონის (ამხ. გ. თავხელიძე) — 2-დან — 2-მა, ორჯონიკიძის რაიონის (ამხ. შ. ღონღაძე) — 2-დან — 2-მა, წალენჯიხის რაიონის (ამხ. ტ. ჯანჯღავა) —2-დან — 2-მა, ქედის რაიონის (ამხ. მ. შერვაში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე) — 5-დან — 5-მა, ცხაკაიას რაიონის (ამხ. კ. შარტავა) — 5-დან — 5-მა, გაგრის რაიონის (ამხ. ბ. ჩაკაბერია) — 2-დან — 2-მა, ხულოს რაიონის (ამხ. ო. ბოლქვაძე) — 4-დან — 4-მა, ჯავის რაიონის (ამხ. ს. ცხოვრებოვი) — 2-დან — 2-მა, ქ. თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის (ამხ. ა. ცხადაია) — 9-დან — 6-მა.

უფრო მეტიც, აბაშის, დმანისის, ლენტეხის, თერჯოლის, ხობის, ცაგერის, შუახევის, თიანეთის, მარნეულის რაიონების (ამხ. ამხ. ა. ცანავა, ლ. ობედკოვა, ბ. ქარდავა, ა. ბუცხრიკიძე. შ. ხარებავა, დ. კოპალიანი, რ. ქათამაძე, ბ. კალაევი, ყოფილი გამგე ვ. ობგაიძე) საშუალო სკოლების გამოსაშვებ მე-10 კლასებში მედლის კანდიდატიც კი არ ჰყოლიათ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დასახელებული სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები სათანადოდ არ მუშაობენ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ფორმალურად ეკიდებიან განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისა და რეალიზაციის საქმეს.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები დაწვრილებით არ სწავლობენ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არ აანალიზებენ იმ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის საკითხებს, რომლებიც კმაყოფილდებიან საშუალო აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებთან მუშაობით, არ ზრუნავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გამოცდილი კოლექტივების მიერ რეკომენდებული ახალი მეთოდების დანერგვაზე, დაბალი კვალიფიკაციისა თუ არაეფექტიანი მუშაობის გამო ვერ ახერხებენ მოსწავლეთა სათანადო დონეზე მომზადებას. ამდენად, რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, რომლის არც ერთი მოსწავლე წლების განმავლობაში არც მედლით დაჯილდოებულა და არც საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში გაუმარჯვნია.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებმა დაგვანახა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა მისაღები გამოცდების ორგანიზაციული მხარე; მოფიქრებულად ხდება საგამოცდო კომისიების დაკომპლექტება. ძირითადად დამაკმაყოფილებლად დგება საგამოცდო ბილეთები. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ამოცანები და მაგალითები შერჩეულია საშუალო სკოლის ამოცანათა კრებულებიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის შედგენილი საგამოცდო ბილეთები. ბილეთებში შეტანილი საკითხები ისეთივე ფორმულირებითაა, როგორც ეს მისაღები გამოცდების პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამით არის გათვალისწინებული. ამოცანები ამოღებულია სკოლის ამოცანათა კრებულიდან. ყველა ამოცანის ბოლოში მითითებულია კრებულის დასახელება და ამოცანის ნომერი. ასევე კარგადაა შედგენილი ფიზიკის საგამოცდო ბილეთები თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ამასთან ერთად, ისიც გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი საგნის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა მინდობილ საქმეს. საგამოცდო კომისიის წევრთა ერთი ნაწილი არც თუ ისე საფუძვლიანად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამებს და, კერძოდ, იმ ამოცანებისა და მაგალითების ტიპებს, რომლებიც სკოლაში განიხილება, რამაც საგამოცდო ბილეთებში, რიგ შემთხვევაში, არაპროგრამული საკითხების შეტანა და მათი არათანაბარი განაწილება განაპირობა, წარმოქმნა ბილეთების სხვადასხვაგვარი სიძნელე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საგამოცდო ბილეთებში (№№ 51, 52, 53, 54) შეტანილ ამოცანებში ფართობისა და სიგრძის შეფარდება განყენებულ რიცხვადაა მიჩნეული „სამკუთხედის ფართობი ისე შეფარდება მასზე შემოხაზული წრეწირის სიგრძეს, როგორც „1 : 4“. № 231-დან № 236-მდე ბილეთებში მე-4 დავალების ამოხსნისათვის საჭიროა სამკუთხედების შიგა კუთხის ბისექტრისის თვისების, ან სამმაგი კუთხის სინუსის ფორმულის ცოდნა და მისი გამოყენება. ასევე, ქ. გორის ეკონომიკური ინტიტუტის შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების ფაკულტეტზე საგამოცდო ბილეთში მაგალითი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნაზე მოითხოვდა სამმაგი კუთხის ან ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა ნამრავლის ჯამად გარდაქმნის ფორმულების ცოდნას, თუმცა აღნიშნული საკითხები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის არსებულ პროგრამაში მოცემული არ არის.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკის ბილეთებში შეტანილია 3 თეორიული საკითხი და 2 ამოცანა. ბილეთები გადატვირთულია, ვინაიდან კონკრეტულად არ არის მითითებული დასმულ საკითხზე რა მოცულობით მოეთხოვება აბიტურიენტს პასუხი. მაგალითად, ბილეთის 1-ლ საკითხში მოცემულია: თანაბარი წრფივი მოძრაობა, გადაადგილება, სიჩქარე, სიჩქარის ერთეულები, სიჩქარის გრაფიკი თანაბარი წრფივი მოძრაობისათვის, ინერციული ათვლის სისტემის განმარტება, მოძრაობის ფარდობითობის ხასიათი და მისი დამადასტურებელი მაგალითები. ანალოგიურად დატვირთულია ბილეთის მე-2 და მე-3 საკითხი, ამის გარდა, ბილეთში შეტანილია 2 საშუალო სიძნელის ამოცანა. თუ დასმულ კითხვებზე აბიტურიენტებს სახელმძღვანელოს შესაბამის პარაგრაფებში მოცემუ-

ლი მასალის სრულყოფილად გადმოცემა მოეთხოვებოდათ, ეს შეუძლებელია იმ დროის განმავლობაში, რაც წერისათვის იყო გათვალისწინებული.

ასევე გადატვირთულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საგამოცდო ბილეთები იმის დამატებით, რომ ზოგიერთ ბილეთში არ ყოფილა შეტანილი საკითხები მე-10 კლასის სასწავლო პროგრამიდან.

ქ. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკის წერითი ნამუშევრების შეფასებისათვის გამოყენებული ყოფილა გამოთვლითი მანქანა. წარმოდგენილი ბილეთების ნიმუშებიდან ირკვევა, რომ აბიტურიენტის თეორიული ცოდნის სრულყოფილად დადგენა შეუძლებელია.

არათანაბარი სიძნელისა და მოცულობისაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის საგამოცდო ბილეთები. ზოგ ბილეთში ამოცანაა შეტანილი, ზოგში — სავარჯიშო ან კითხვა; ზოგიერთი ბილეთის კითხვა მეტად მარტივია, ხოლო ზოგიერთში შეტანილი ამოცანა —რთული.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხები ბუნდოვანია, მოკლებულია სიზუსტეს, ზოგჯერ ფორმულირება იმდენად არაზუსტია, რომ აბიტურიენტს გაუჭირდება აზრის გამოტანა; არის კითხვების არაზუსტად დასმის შემთხვევებიც. მაგალითად, „რომელი იონები შეიძლება გამოვიყენოთ $Fe^{3+} + 3\overline{OH}$ იონური რეაქციის შესაბამისი მოლეკულური ტოლობის შესადგენად: 1) $\overline{C}l + Al^{3+}$, 2) $PO_4^{3} + Na^{+11}$ და ა. შ.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხების ფორმულირებანი არ არის პროგრამიდან აღებული. ამდენად, საკითხები დასახვეწია, კერძოდ, როდესაც ჰალოგენების ბუნებრივ ნაერთებზე ლაპარაკობენ, ამ შემთხვევაში მთავარია არა მათი თვისებები. როგორც ამას ბილეთის კითხვა თხოულობს, არამედ — გამოყენება. ბილეთში შეტანილია ასეთი საკითხი: „ფტორი, დახასიათება, აღნაგობა, თვისებები“. საკითხავია, რა შედის დახასიათებაში? თუ თვისებები შედის, ისინი ცალკეა გამოყოფილი, ე. ი. დასმულ საკითხებს კონკრეტულობა აკლია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქიმიის ზოგიერთ საგამოცდო ბილეთში შეტანილი თეორიული საკითხები დიდი მოცულობისაა. მაგალითად, 72-ე ბილეთში შეტანილია წყალბადი, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ურთიერთმოქმედება არალითონებთან. ლითონთა ოქსიდებთან, ორგანულ ნივთიერებებთან, წყალბად-

დის მიღება ლაბორატორიასა და ტექნიკაში, მისი გამოყენება“. „წყალბა-ლი, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. რეაქციები ლითონებთან, ოქსიდებთან“, „კრისტალჰიდრატები“. ამ საკითხების შესასწავლად საშუალო სკოლის პროგრამით 20 საათზე მეტია გათვალისწინებული. ზოგიერთი ამოცანა არაპროგრამულ მასალაზე დაფუძნებითაა შედგენილი. 112-ე ბილეთში შეტანილია ამოცანა — ჟანგბადშემცველი მარილების ელექტროლიზზე, ჟანგბადშემცველი მარილების ელექტროლიზი კი საშუალო სკოლაში არ ისწავლება.

არის შემთხვევები აბიტურიენტთა ნამუშევრების არაობიექტურად შეფასებისა. მაგალითად, ერთ-ერთ ბილეთში შეტანილი საკითხი „წყალბადი, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ურთიერთმოქმედება არალითონებთან, ლითონთა ოქსიდებთან, ორგანულ ნივთიერებებთან. წყალბადის მიღება ლაბორატორიასა და ტექნიკაში, მისი გამოყენება“ აბიტურიენტს დამაკმაყოფილებლად აქვს შესრულებული, თუმცა გამსწორებელი ნამუშევარს 0 ქულით აფასებს.

მე-7 ბილეთში შეტანილ ამოცანაში „10 ლ ნაჯერი რიგის ნახშირწყალბადი მთლიანად დაიწვა 150 ლ. ჰაერში. ვიპოვოთ რამდენჯერ შეიცვლება წნევა გაზების ნორმალურ პირობებზე დაყვანის შემდეგ“. დაშვებულია უზუსტობა, რის გამოც ძნელდება ნივთიერების მოლეკულური ფორმულის დადგენა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ბიოლოგიის ბილეთების გარკვეული რაოდენობა ისეა დაბეჭდილი, რომ მათში შეტანილი საკითხები ან ძნელად იკითხება, ან სულ არ იკითხება. ამასთან, საკითხთა უმეტესობა ზოგადია. მაგალითად, „ნაწლავღრუიანთა ტიპი“, „მწერთა კლასი“, „ქვეწარმავალთა კლასი“, თევზების კლასი“, „ფრინველების კლასი“ და ა. შ. მეორე ბილეთის მე-2 საკითხად შეტანილია „ლანცეტისებრთა კლასი“, მაშინ როდესაც საშუალო სკოლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოსა და სასწავლო პროგრამაში ლანცეტისებრთა კლასი კი არაა, არამედ ქვეტიპია. ასევე ზოგადია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის საგამოცდო ბილეთების დიდ ნაწილში შეტანილი არ არის საკითხები ზოგადი ბიოლოგიიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოლოგიის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხები არათანაბრად იყო განაწილებული, რამაც ბილეთების არატოლძალოვნება გამოიწვია. ამასთან ერთად, ბილეთებში შეტანილ საკითხებს ჰქონდა რთული ხასიათის ქვესაკითხებიც, რაც აბიტურიენტთა ხელოვნურ დაბნევას იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, „რა შემთხვევაში მოსდევს საერთო დეგენერაციას ბიოლოგიური პროცესი?“, „რად ვითარდებ, უპირველეს ყოვლისა, ყოველსახის მუშაობის დროს დაღლა?“, „რომელი საჭმლის მომნელებელი ჯირკვალი გვხვდება მოლუსკებში?“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სსრ კავშირის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის საგამოცდო ბილეთებში ბუნდოვნადაა დასმული საკითხები. მაგალითად, მე-4 ბილეთის 1-ლი საკითხი ასეა ფორმულირებული: „მატერია და ისტორიული ფორმები“. გაუგებარია, რას ეხება ისტორიული ფორმები, მატერიას თუ სხვა რამეს. ზოგიერთ ბილეთში არ არის შეტანილი საკითხები მე-10 კლასის სასწავლო პროგრამებიდან.

ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის საგამოცდო ბილეთებში შეტანილ საკითხებში არ არის მინიშნებული, თუ რომელ საზოგადოებაში უნდა იქნეს განხილული მაგალითად „წარმოების წესი, საწარმოო ძალები და საწარმოო ურთიერთობანი“, „შრომის განაწილების ეკონომიკური კანონი“, „ღირებულების კანონი“. ანალოგიური ხარვეზებით ხასიათდება თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი ისეთი საკითხები, როგორიცაა: „საქონელი და სასაქონლო წარმოება“, „ფული და მისი ფუნქციები“, „ღირებულების კანონი, შრომის კანონიერება“, ანდა „სსრ კავშირის კონსტიტუცია“ — რომელი?, ხოლო მე-3 ბილეთის 1-ლი საკითხი „მატერიალიზმი და მისი ისტორიული ფორმები“ — არაპროგრამულია. არასწორადაა ფორმულირებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის 28-ე საგამოცდო ბილეთის 1-ლი საკითხი „ვ. ი. ლენინი ერის განვითარების ორი ტენდენციის შესახებ“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საგამოცდო ბილეთები არათანაბარი სირთულისაა. ზოგიერთ ბილეთში ორი საკითხია შეტანილი ეკონომიკური გეოგრაფიის კურსიდან (მე-8 და მე-9 კლასები), ზოგიერთში — ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის კურსიდან (მე-5 კლასი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიურ ინსტიტუტებში უცხო ენის საგამოცდო ბილეთებში შეტანილი საკითხები დასაძლევია რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლებიანი სკოლების კურსდამთავრებულთათვის და ისიც იმ შემთხვევაში: თუ ისინი დამატებით საფუძვლიანად სისტემაში მოიყვანენ გრამატიკულ მასალას. ამდენად, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები საგანგებო მომზადების გარეშე მისაღებ გამოცდებს მაღალ ნიშნებზე ვერ ჩააბარებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისას ძირითადი აქცენტი წერით გამოცდაზეა გადატანილი და მხოლოდ მისი ჩაბარების შემდეგ უშვებენ აბიტურიენტს ზეპირ გამოცდაზე. ამჟამად, მოქმედი პროგრამის მიხედვით, წერითი მეტყველება ზეპირი მეტყველების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია და ამდენად, უცხო ენების სწავლებისას მას ესოდენ დიდი ყურადღება არ ექცევა. საგამოცდო ბილეთებში კი ისეთი წერითი სავარჯიშოებია, რომლებიც აბიტურიენტისაგან ენის გრამატიკული კატეგორიების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ასევე გაძნელებულია დროის მცირე მონაკვეთებში სასაუბრო თემების დამუშავება.

ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდისათვის თემების შერჩევაში სრულიად გაუმართლებელი კურსი აქვს აღებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის საგამოცდო კომისიას. მეტწილად ისეთი დასახელების თემებია შერჩეული, რომლებიც აბიტურიენტს არ აძლევს სათანადო საკმაო მასალას თხზულების გასაშლელად ან ისინი ბუნდოვანი და რთულად დასაძლევია. ასე მაგალითად, „ტარიელის ბავშვობის მხატვრული სახე „ვეფხისტყაოსანში“, „აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ სიუჟეტურ-კომპოზიციური ქარგა“, „აკ. წერეთლის ლექსის „თქვენი ჭირიმე“ ლირიკული გმირი“, „პეიზაჟის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, „კახელთა და ქართლელთა ურთიერთობის ასახვის მხატვრული ხერხები დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ მიხედვით“, „ანდუყაფარ დიდებულიძის მხატვრული სახე“, „გ. ტაბიძის ლექსის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ლირიკული გმირი“, „ლუარსაბ თათქარიძის პორტრეტის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია“. „რევოლუციური რომანტიკა ირ. ევდოშვილის ლირიკაში“.

აბიტურიენტის ლიტერატურული ცოდნისა და გემოვნების, მისი უნარის გამომჟღავნებას ნაკლებად ემსახურება თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეთავაზებული თემები: „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“ და „მე-5 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართლი „შუშანიკის წამების“ მიხედვით. გაუმართლებელია ისეთი ფართო მოცულობის თემების შეთავაზება, როგორიცაა: „კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ განხილვა (ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი), „დავით კლდიაშვილის პერსონაჟების დახასიათება“ (სპი), „ექიმი და თანამედროვეობის პრობლემები“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი), ანდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთათვის საწერად შეთავაზებული თემები: „ქართველი პოეტები პოეტისა და პოეზიის დანიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულების შესახებ“, „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ზნეობრივი პრინციპები“ და სხვა.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ქართულსა და სომხური ენისა და ლიტერატურის სექტორებზე მიცემული თემები: „ისტორიის გაკვეთილები, რისი თქმა უნდა რაფის ისტორიულ რომან „სამველში“, „მშვიდობა, შემოქმედებითი ცხოვრება ს. ზორიანის მოთხრობა „ომში“ — აბსტრაქტულია.

ანალოგიური მდგომარეობაა რუსული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდებისათვის თემების შერჩევის საქმეში. არათანაბარი მოცულობის თემებია შერჩეული საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მაგალითად, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ — „ცხოვრების პიესა“, „პიროვნება და ისტორია“ ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიხედვით“, „მ. გორკის დრამატურგია“, მასთან ერთად თემატიკაში არის ისეთი მარტივი თემა, როგორიცაა „მირისკის გზაგაუნათებელი მუშა ახალგაზრდიდან რევოლუციის შეგნებულ მებრძოლამდე“ ა. ფადეევის რომანის „რღვევის“ მიხედვით. აბიტურიენტებისათვის შემოთავაზებულია ისეთი თემა, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, „ზღაპრები, რომლებიც მოიგონა ცხოვრებამ“ მ. გორკის ნაწარმოების „ზღაპრები იტალიაზე“ მიხედვით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შეთავაზებული თემა „სამშობლოს სახე მე-19 საუკუნის რუსულ პოეზიაში“, ისტორიის ფაკულტეტზე — „სამშობლო, ხალხი, რევოლუცია ა. ბლოკისა და ს. ესენინის პოეზიაში“.

აფხაზეთის სუბტროპიკულ ინსტიტუტში შეთავაზებული თემებით აბიტურიენტებს მოეთხოვებოდათ მ. შოლოხოვის, ა. ჩეხოვის, ი. ტურგენევისა და სხვა მწერლების დიდი ნაწარმოებების ანალიზი. ცალკეულ თემაში მინიშნებული არ არის ნაწარმოების ან ავტორის დასახელება. მაგალითად, „ბაზაროვის დახასიათება“ და სხვა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ აბიტურიენტთა და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელმა სხვადასხვა სუბიექტური მოსაზრებით უარი განაცხადა საგამოცდოდ მიცემული ბილეთებისა და თემების წარმოდგენაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქ. ქუთაისის, ბათუმისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები. ამდენად, ეს ფაქტი, თავისთავად, მრავლისმეტყველია.

ამგვარი განსხვავება სასკოლო პროგრამისა და მისაღები გამოცდების მოთხოვნებს შორის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კერძო რეპეტიტორობის განვითარებისათვის და უდიდეს ზიანს აყენებს სკოლის და მასწავლებლის ავტორიტეტს, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვის საქმეს.

1985—1986 სასწავლო წელს მედლით დაჯილდოებული 392 (61 ოქროს და 331 ვერცხლის მედალოსანი) კურსდამთავრებულიდან, არასრული მონაცემებით, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 97 (19 ოქროს და 78 ვერცხლის) მედალოსანი, ხოლო ჩაიჭრა 23 (4 ოქროს და 19 ვერცხლის) მედალოსანი. მათ შორის თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი ე. ცქიტიშვილი ჩაიჭრა ქიმიაში (დირექტორი ლ. შეწირული, მასწავლებელი ლ. სალუქვაძე), 162-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ე. შათირიშვილი — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (დირექტორი ა. ჯაფარიძე, მასწავლებელი მ. გოქაძე), 99-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ნ. მუნჯიშვილი — ქიმიაში (დირექტორი ნ. გორდეზიანი, მასწავლებელი ნ. გიგნაძე), 132-ე საშუალო სკოლის მედალოსანი გ. გიორგობიანი — ქიმიაში (დირექტორი თ. თეთვაძე, მასწავლებელი ე. ზუმბულიძე), 47-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ნ. კინტრაია — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (დირექტორი მ. ბოქოლიშვილი, მასწავლებელი მ. ხითარიშვილი), მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მედალოსანი ი. ელიზბარაშვილი — ქიმიაში (დირექტორი შ. გორგოძე, მასწავლებელი ლ. კომახიძე), 143-ე საშუალო სკოლის მედალოსანი კ. სურმავა — ბიოლოგიაში (დირექტორი გ. ავლოხაშვილი, მასწავლებელი ნ. ლორია), 57-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ი. ღოღობერიძე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (დირექტორი გ. ეპიტაშვილი, მასწავლებელი ე. გონაშვილი), 139-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ნ. მაღედანი — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (დირექტორი მ. აგლაძე, მასწავლებელი ე. ცალქალამანიძე), 94-ე საშუალო სკოლის მედალოსანი ზ. ყატაშვილი — ბიოლოგიაში (დირექტორი ჭ. ტყეშელაშვილი, მასწავლებელი ც. ჯიქია), ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი ხ. ქლენტი — ბიოლოგიაში, ვერცხლის მედალოსანი ი. ტიკარაძე— ქიმიაში (დირექტორი მ. ჟვანია, მასწავლებლები: ლ. ცენტერაძე, ნ. ტაბიძე). ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი დ. ყუფარაძე — მშობილურ ენასა და ლიტერატურაში (დირექტორი რ. ჭოლაძე, მასწავლებელი მ. ვარლამოვა), რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის მედალოსანი მ. მინდაძე — ქიმიაში (დირექტორი გ. აბესაძე, მასწავლებელი ნ. ლაბაძე), გორის მე-2 და მე-3 საშუალო სკოლების მედალოსნები ა. ხითარიშვილი და ნ. შერმადინი — ბიოლოგიაში (დი-

რედაქტორები: ო. ელიოზიშვილი, ქ. კიკნაძე, მასწავლებლები: მ. მა[illegible]-შვილი, ლ. ლომაია), ბათუმის 24-ე და 28-ე საშუალო სკოლების მედა-ლოსნები პ. დავითაძე, და მ. მგელაძე — ქიმიაში (დირექტორები: ვ. მისტაკოპულო, ს. მალაზონია, მასწავლებლები: ბ. ზოიძე, თ. ლე-კვეიშვილი), მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი ი. ბოკუჩავა — ქიმიაში (დირექტორი ა. ლაშხაური, მასწავლებელი, ც. ხუბერაშვილი), გურჯაანის 1-ლი და სოფელ მელაანის საშუალო სკოლების მედალოსნები მ. ზარდიაშვილი — ბიოლოგიაში, მ. ბექუა-შვილი — ქიმიაში (დირექტორები: გ. ლუაშვილი, ც. ტატიშვილი, მასწავლებლები: ც. ხაჩიაშვილი, ლ. ზახარაშვილი), ვანის 1-ლი საშუა-ლო სკოლის მედალოსანი გ. ქარჩხაძე — მშობლიურ ენასა და ლიტე-რატურაში — (დირექტორი მ. ბრეგვაძე, მასწავლებელი ლ. თხელიძე), წულუკიძის რაიონის სოფელ ქუტირის საშუალო სკოლის მედალო-სანი ი. რუხაძე — ბიოლოგიაში (დირექტორი მ. კუპავა, მასწავლებე-ლი ე. ხვედელიძე).

ამასთან ერთად, გასულ წლებში ოქროს მედლით დაჯილდოებულ-მა 40-მა კურსდამთავრებულმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

განათლების სამინისტრომ გასულ სასწავლო წელს რადიკალური ღონისძიებები გაატარა მედლის კანდიდატთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში. სამინისტროს ხელმძღვანელობამ სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს მკაცრად მოსთხოვა ძირეულად გარდაექმნათ პედაგოგიური კოლექტი-ვებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სრულეყოთ და დაეხვე-წათ მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, მთავარი ყურადღება მიექციათ სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომ-დინარე დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ეზრუნათ სკოლის მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებისათვის. ძირითადად ეს ასეც მოხდა. საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მონაკვლევი მასალები ცხადყოფენ, ამ ცნობაში დასახელებულმა სახალხო განათ-ლების განყოფილებებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და პედაგოგი-ურმა კოლექტივებმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს, ვერ შე-ქმნეს მაღალპრინციპული მომთხოვნელობის, შეურიგებლობის ატმოს-ფერო სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტუ-რი დისციპლინის განმტკიცებისათვის, სკოლების მუშაობაში არსებუ-ლი ნეგატიური მოვლენებისა და ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის. ჯერ კიდევ ვერ დანერგეს მუშაობის ისეთი ხერხები და მეთოდები,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების განაპირობებენ, ვერ უზრუნველყვეს მაღალპრინციპული მომთხოვნელობა სახელმწიფოებრივი, საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების საქმეში, თავი ვერ დააღწიეს წარსულის მავნე გადმონაშთებს, რომლებიც თავისი მოქმედებით სახელს უტეხენ სახალხო განათლების სისტემის ყველა მუშაკს, ჩირქს ცხებენ პედაგოგის წმინდა სახელს, აფერხებენ საერთო წინსვლას.

**საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის სკოლებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილებების „საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული 1985—1986 სასწავლო წლიდან ახალი საგნის სწავლების შემოღებისათვის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 18 აპრილის № 247 ბრძანებით განისაზღვრა ამ საგნის შემოღებისა და მასთან დაკავშირებული წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების ძირითადი მიმართულებები, მომზადდა და გამოიცა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ პროგრამა, სკოლებს დროულად მიეცა მითითებები საგნის სწავლების დაწყების ორგანიზაციულ საკითხებზე. ძირითადად მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელთაგან შეირჩნენ „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებლები, რომლებმაც მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, საქალაქო და ზონალურ ინსტიტუტებში გადამზადების მოკლევადიანი კურსები გაიარეს, გამოიცა და სკოლებს დაეგზავნა მე-9 კლასის სასინჯი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რუსულ სკოლებს კი გაეგზავნა მე-9—10 კლასების სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელო მასწაველბელთათვის, ქართულ სკოლებს დამატებით მიეცა მეთოდური ხასიათის ბროშურა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებში სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნის ნიმუშები“.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ, საქალაქო და ზონალურ ინსტიტუტებში შექმნილია სამამულო და უცხოური წარმოების პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ინფორმატიკის კაბინეტები. რესპუბლიკის სკოლებში უკვე მოქმედებს „იამახას“ ტიპის 3 გამოთვილთი ტექნიკის კაბინეტი. მათგან სასკოლათაშორისო კაბინეტის სტატუსით მუშაობა გაშლილია 2 სკოლაში. დამონტაჟების პროცესშია „აგატის“ ტიპის 2 გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი. სულ სკოლებს ცალკეული კომპიუტერებისა თუ კაბინეტებისა და კლას-

კომპლექტების სახით გადაეცათ 147 პერსონალური კომპიუტერი. გარდა ამისა, სკოლებს ახლახან გადაეცათ „კუვტ-86“ ტიპის 25 გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი, რომლებშიც 325 პერსონალური კომპიუტერი იქნება დამონტაჟებული. მთლიანად რესპუბლიკაში ცენტრალიზებული წესით განაწილებული სასკოლო კომპიუტერული ტექნიკის საერთო ღირებულება მილიონ შვიდასი ათას მანეთს აღემატება. გამოთვლითი ტექნიკის შეძენასა და კაბინეტების მოწყობაში სკოლებს გარკვეულ დახმარებას უწევენ საბაზო საწარმოები და შეფი ორგანიზაციები. 1986 წელს მათ მიერ შეძენილია 616655 მანეთის კომპიუტერული ტექნიკა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს“ სწავლების სხვადასხვა ფორმით ეუფლება ქ. თბილისის 29-ე, 37-ე, 42-ე, 1-ლი, 53-ე, 23-ე საშუალო სკოლების 358 მოსწავლე. გამოთვლით ცენტრში შექმნილია მასწავლებელთა საკონსულტაციო კაბინეტი, სადაც რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლები კვალიფიციურ კონსულტაციას ღებულობენ მათთვის საჭირო საკითხებზე.

გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ მომზადებულია მასწავლი პროგრამები (ალგებრა — მე-6 კლასი, ფიზიკა — მე-8 კლასი, ინგლისური — მე-4 კლასი, ფიზიკა თამაშებში), რომელიც დანერგილია თბილისის 19 ორგანიზაციაში. აღნიშნული პროგრამების ავტორები წარდგენილნი არიან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე.

„ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ საკითხებზე სისტემატურად ეწყობა გადაცემები რესპუბლიკის ტელევიზიით, რადიოთი, იბეჭდება სტატიები ჟურნალ-გაზეთებში. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რომელიც 1985 წლის დეკემბერში ჩატარდა დევიზით: „პერსონალური კომპიუტერები განათლებასა და სახალხო მეურნეობაში“, რესპუბლიკის ათასობით მოსწავლე გაეცნო პერსონალური კომპიუტერების მუშაობის პრინციპებს.

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტში ყოველთვიურად ტარდება სემინარები „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებელთათვის, სადაც ლექციებს გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლები კითხულობენ. ანალოგიური ღონისძიებები ტარდება ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებშიც.

„ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლება კარგადაა დაყენებული გუდაუთის რაიონში. საგნის სწავლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარიანად ხელმძღვანელობს განათლების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი ა. სიჭინავა.

ასევე კარგადაა დაყენებული საგნის სწავლება გაგრის რაიონშიც. გაგრის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატში (დირექტორი შ. ქირია) არის გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი, სადაც დამონტაჟებულია 12 ცალი „ბკ—0010“, რაიონის 12 სკოლის 901 მოსწავლე ოთხი კვალიფიციური მასწავლებლის ხელმძღვანელობით „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს ეუფლება.

კარგად ასწავლიან საგანს თბილისის 154-ე (მასწავლებელი მ. ლავერაშვილი), მცხეთის 1-ლი (მასწავლებელი მ. მანჯგალაძე), რუსთავის მე-15 (მასწავლებლები ნ. დოლიძე, ე. ბუიშვილი), თბილისის 53-ე (მასწავლებელი ზ. მებუკე), თბილისის 56-ე (მასწავლებელი მ. ცალკინა) საშუალო სკოლებში. აღნიშნულ მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა ახასიათებს. მოსწავლეები საგნის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიაში 57 მოსწავლე პროგრამების ელემენტებს ეუფლება, ხოლო თბილისის მე-100, 22-ე საშუალო სკოლებისა და № 1 ბავშვთა სახლის პედაგოგები „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ პრაქტიკულ მეცადინეობებს სისტემატურად ატარებენ აღნიშნული სადგურის ლაბორატორიაში.

აღნიშნულთან ერთად, „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

1986 წელს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებელთა გადამზადების კურსები მოეწყო მე-10 კლასის პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა განათლების განყოფილებებს დროულად შეატყობინა კურსების ჩატარების შესახებ, ბოლნისის რაიონის მასწავლებელთაგან კურსებზე არ გამოცხადდა 11, ქ. რუსთავიდან — 20, ახალქალაქის რაიონიდან — 21, მარნეულის რაიონიდან — 30, დმანისის რაიონიდან — 10 და ა. შ. სულ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ზონის 365 მასწავლებლიდან კურსები არ გაუვლია 142-ს, ე. ი. დაახლოებით 40%-ს. ანალოგიური მდგომარეობაა ზონალურ ინსტიტუტებშიც.

დღემდე არ არის გამოსაცემად მომზადებული ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მე-10 კლასის სასინჯი სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის, რაც განათლების სამინისტროს 1985 წლის 18 აპრილის № 247 ბრძანებით დამტკიცებულ ავტორთა კოლექტივს ჰქონდა დავალებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფერხებებია სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგების საქმეშიც. სოხუმის რუსულ სკოლებს 20 სექტემბრისათვის მიღებული არ ჰქონდათ მე-10 კლასის სახელმძღვანელო, ასევე ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული ქართული სკოლების მე-9 კლასი, რის გამოც სოხუმის ქართულ სკოლებში რუსული სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ. დაგვიანებით მიიღეს ან ჯერაც არ მიუღიათ სკოლებს რუსული სკოლების მე-10 კლასის მასწავლებელთათვის გამოცემული მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელო.

ნაკლოვანებებია, აგრეთვე, სკოლებისათვის გადაცემული გამოთვლითი ტექნიკის დამონტაჟების საკითხებშიც. დღემდე დაუმონტაჟებელია მცხეთის, მახარაძის, ჭიათურისა და ზოგ სხვა რაიონებზე გადაცემული ტექნიკა. ამას ემატება ისიც, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებსა და სკოლებზე გადაცემული ტექნიკა არასაიმედოა, ხშირად გამოდის მწყობრიდან, ხოლო თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელი ქარხანა ვერ ახერხებს მწყობრიდან გამოსული გამომთვლელი მანქანების ოპერატიულად შეკეთებას. ამან განაპირობა ის, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ზონალურ ინსტიტუტებში ჩატარებულ გადამზადების კურსებზე მასწავლებლებს არ ჰქონდათ პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული სამუშაოს გამომთვლელ მანქანებთან ჩატარების შესაძლებლობა, რის გამოც სოხუმის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში ჩატარებულ კურსებზე მასწავლებლებმა ვერ შეიძინეს სათანადო პრაქტიკული ჩვევები.

ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" სწავლების ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ განათლების განყოფილებები და სკოლის ხელმძღვანელები მასწავლებლებს ვერ უწევენ საჭირო მეთოდურ დახმარებასა და კონტროლს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სამინისტროს 1985 წლის 18 აპრილის № 247 ბრძანებით დამტკიცებულმა ავტორთა კოლექტივმა:

1. 1. 1987 წლის 10 იანვრამდე მოამზადოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" მე-10 კლასის სასინჯი სახელმძღვანელოს როტოპრინტზე გამრავლებული ძირითადი მასალა, სკოლაში დროებითი სარგებლობისათვის.

1. 2. 1987 წლის 15 მარტამდე მოამზადოს გამოსაცემად სასინჯი სახელმძღვანელო ქართული სკოლების მე-10 კლასისათვის.

2. მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. გ. გვარამია):

2. 1. 1987 წლის 1 თებერვლამდე გადაამუშაოს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" მე-10 კლასის პროგრამა 1987—1988 სასწავლო წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 2. სკოლების სამმართველოსთან ერთად 1987 წლის 1-ლ მარტამდე მოამზადოს საყრდენი სკოლების სია, რომელთაც პირველ რიგში უნდა გაუნაწილდეთ სასკოლო კომპიუტერული ტექნიკა.

3. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მეთოდურმა საბჭომ" (ამხ. გ. გოგიჩაიშვილი) 1987 წლის 10 თებერვლამდე შეარჩიოს ავტორთა კოლექტივი მე-9 და მე-10 კლასების სახელმძღვანელოებით სარგებლობის მეთოდიკური რეკომენდაციების შესადგენად და წარუდგინოს ავტორთა სია სკოლების სამმართველოს დასამტკიცებლად.

